# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 8 ოქტომბერი, 2010 წელი.

№188 (6554)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge და sakresp@mail.ru

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




## ე.წ. თურქი მესხების საქართველოში ჩამოსახლების პროცესი 2011 წლის იანვრიდან დაიწყება ②



## ნატოს ცრემლების არ მჯერა!.. ④





⑦ 

## ეს საერთაშორისო თანამეგობრობა მართლა უძლურია თუ მე, უბირს, მეჩვენება ასე?..

## კოდუების დედა, ② შესაძლოა ახალ სკანდალში გაეხვიოს

## საქართველო ⑧ სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტისთვის ნიადაგს ამზადებს?

# „აბსურდის თეატრის“ თეთრიქალაქისეული სპექტაკლის ახალი პერიპეტიები



## პუბლიკაციების „გმირებმა“ კატათაგვობანას თამაში წამოიწყეს ⑤ ⑥



## ④ ზამთრის პირზე კარტოფილიც გაძვირდა, ყველიც და... ოქროც

## „რუსეთის ნატოსთან თანამშრომლობა და ინტეგრაცია აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან რუსული ჯარის გაყვანაზე არანაირად არ იმოქმედებს“ ③

პარტიებსა და მოძრაობებში

# რა შუამდგომლობით მიმართა სახალხო კრებას ნინო ბურჯანაძემ?

## კოდუების დედა შესაძლოა ახალ სკანდალში გაეხვიოს

**სახელისუფლებო კლანებს შორის არსებულ დაპირისპირებაზე გუშინ მინიშნება გაკეთდა ნინო ბურჯანაძის ოფისში გამართულ ბრიფინგზე. „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს" წევრმა თემურ მურღულიამ განაცხადა, რომ ამ რამდენიმე დღის წინათ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ თბილისის ორი უმსხვილესი ცენტრის – „პასაჟისა" და „კიდობნის" თანამშრომელთა დაკავება უშუალოდ საბიუჯეტო კრიზისს უკავშირდება.**

ცნობილია, რომ 170-მდე ადამიანს ფინანსურ მაქინაციებში ადანაშაულებენ. ასევე დაკავებული არიან გადამზიდავი კომპანიის „ტრანს-კარგოს" წარმომადგენლები, რომელთაც ბიუჯეტისთვის გადასახადების დამალვაში ედებათ ბრალი. სწორედ ამ კომპანიას გადაეცემოდა იმპორტიორი ინდმეწარმეების მიერ თურქეთში შეძენილი სხვადასხვა საქონლის დამადასტურებელი ქვითრები. და რაც კიდევ უფრო საინტერესოა, მოვაჭრეთა თქმით, შპს „ტრანს-კარგოს" შს სამინისტროს მაღალჩინოსნის ერეკლე კოდუას დედა ლაურა ღაჭავა ხელმძღვანელობს. კოდუებისა და ახალაიების კლანის ურთიერთდაპირისპირებაზე



არაერთხელ გაჟონა ინფორმაციამ. **„ჩვენი პარტია აქამდე შეგნებულად იკავებდა თავს სერიოზული განაცხადების გაკეთებისგან. რადგან, ვფიქრობდით, რომ ხელისუფლება გონს მოეგებოდა და ყველაფერს გაუგებრობად მონათლავდა, თუმცა ავანტიურაზე წასვლა არჩია. დაკავებულ ინდმეწარმეებს გირაოდ 5-10 ათასი ლარის გადახდას სთხოვენ",** – განაცხადა თემურ მურღულიამ.

მისი თქმით, სანამ ეს მოხდებოდა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა თავად შესთავაზეს ამ ინდმეწარმეებს მსგავსი ოპერაციების განხორციელება და მათთვის სასურველ ფირმებთან თანამშრომლობა. **„რაც შეეხება სურვილს, მეწარმემ სახელმწიფოს გადასახადები დაუმალოს, იმას ნიშნავს, რომ თავად საგადასახადო კანონმდებლობა უბიძგებს მას ამისკენ",** – ამბობს თემურ მურღულია. ახლა მაინც უნდა მიხვდნენ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები, რომ ყოველგვარი პირობა გადასახადების გამარტივებისა და შეღავათების შესახებ მხოლოდ ხელისუფლების მორიგი პიარია, რომელიც ტყუილზეა აგებული, – ამბობს ის.

„ქამრების მოჭერის" პოლიტიკა, რომლითაც ხელისუფლება თავს იწონებს, საზოგადოებისთვის უფრო გახდა შესატყვისი, ვიდრე, ჩინოსნებისთვის. ფაქტია, რომ ქვეყანაში ინფლაციაა, შესაბამისად უჭირს ბიუჯეტს. **„მერწმუნეთ, საბიუჯეტო რესურსი მცირდება, ამასთანავე იზრდება დაპირისპირება სახელისუფლებო კლანებს შორის",** – ირწმუნებიან ბურჯანაძის პარტიის წევრები.

კანონის ენით თუ ვიმსჯელებთ, ინდმეწარმეები შესაძლოა დამნაშავენი იყვნენ, მაგრამ არსებითად თუ მივუდგებით, საქმე სხვაგვარადაა. თუ „ტრანს-კარგო" თანხებს ბიუჯეტს უმალავდა, ეს ინდმეწარმეების დანაშაულობას არ ნიშნავს, – აღნიშნავენ პარტიაში. **„შუამდგომლობას ვაყენებთ სახალხო კრების წინაშე, რათა სწორედ ეს საზოგადოებრივი ორგანიზაცია გახდეს ამ არსებითად უდანაშაულო ადამიანების ქომაგი, რადგან ეს არის მასობრივი შეტევა საზოგადოებაზე,** – აღნიშნა თემურ მურღულიამ.

ბრიფინგის დაწყებამდე ცნობილი გახდა, რომ გორში დააკავეს ბიზნესმენი ჯონი ნანიტაშვილი, ტელეკომპანია „თრიალეთის" ხელმძღვანელის ბადრი ნანიტაშვილის ძმა. დემოკრატიული მოძრაობის წევრები დარწმუნებული არიან, რომ ესეც პოლიტიკური მოტივაციით მოხდა, ვინაიდან „თრიალეთი" სრულყოფილად აშუქებდა სახალხო კრების მიმდინარეობას.

რაც შეეხება ზოგადად სახალხო კრებასთან ნინო ბურჯანაძის უშუალო კავშირსა და თანამშრომლობის ფორმებს, პარტიის ლიდერი ამის შესახებ ვრცლად ისაუბრებს ჟურნალისტებთან დღეს დაგეგმილ პრესკონფერენციაზე.

**თეა მოსია**

რა იქნება ხვალ?

# ე.წ. თურქი მესხების საქართველოში ჩამოსახლების პროცესი 2011 წლის იანვრიდან დაიწყება

**ამის შესახებ „პირველს" რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ ელენე თევდორაძემ განუცხადა.**

**„კანონი ე.წ. თურქი მესხების რეპატრიაციის შესახებ უკვე მოქმედებს. მათი საქართველოში ჩამოსახლება უკვე 2011 წლის იანვრიდან დაიწყება. იმ პირებს, რომლებმაც რეპატრიანტის სტატუსის მოთხოვნით საქართველოს ოკუპირებული რეგიონებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში განცხადებები შეიტანეს, საშუალება ექნებათ, საქართველოში ჩამოვიდნენ და იმისდა მიხედვით, თუ სად სურთ განსახლება, საცხოვრებელი ადგილი თვითონ აირჩიონ", – განაცხადა თევდორაძემ.**



ამასთან, მისივე თქმით, ე.წ. თურქი მესხების განსახლების ხარჯების დაფარვა სახელმწიფოს ვალდებულება არ არის და რეპატრიანტები საცხოვრებელ სახლებს საკუთარი ხარჯებით შეიძენენ.

სულ რამდენი აპლიკაციაა შესული კობა სუბელიანის უწყებაში რეპატრიანტის სტატუსის მოთხოვნით, სამინისტროში არ ასახელებენ. „პირველის" მცდელობის მიუხედავად, უწყების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ეკა გულუამ აღნიშნული ინფორმაცია ვერ ან არ მოიპოვა.

რეპატრიაციის ხელშემწყობის საერთაშორისო ფონდის ხელმძღვანელის თეიმურაზ ლომსაძის ინფორმაციით კი, განმცხადებელთა რაოდენობა 7 000-ს აღემატება.



„უკანასკნელ პერიოდში ლტოლვილთა სამინისტროსა და ჩვენს ფონდს შორის თანამშრომლობა არ მიმდინარეობს, შესაბამისად, ბოლო ინფორმაციას არ ვფლობ. იმედი მაქვს, 2011 წლიდან, როდესაც მესხების სამშობლოში დაბრუნების საკითხი კვლავ აქტუალური გახდება, თანამშრომლობა განახლდება", – განუცხადა „პირველს" ლომსაძემ.

შეგახსენებთ, რომ 1999 წელს, ევროსაბჭოში გაწევრებისას საქართველოს ხელისუფლებამ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წინაშე 1944 წელს ადიგენის, ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონებიდან, ასევე აჭარის ასსრ-დან გასახლებულ მოქალაქეთა რეპატრიაციის მიზნით 2001 წლისთვის საკანონმდებლო ბაზის შექმნის ვალდებულება აიღო. რეპატრიაციის პროცესი 2002 წელს უნდა დაწყებულიყო და 2011 წლისთვის უნდა დასრულებულიყო, თუმცა 2005 წელს, საქართველოში არსებული პრობლემებიდან გამომდინარე, ევროსაბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც რეპატრიაციის პროცესის დასრულება 2013 წლამდე გადაავადა. 2007 წლის 22 ივნისს საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით დაამტკიცა კანონპროექტი, რომელიც 2008 წლიდან მაჰმადიანი მესხების ან მათი შთამომავლების რეპატრიაციისთვის საჭირო პროცედურების დაწყებას ითვალისწინებდა. კანონპროექტის თანახმად, მათ, ვისაც საქართველოში დაბრუნება სურდა, საქართველოს უახლოესი საკონსულოსთვის, ან საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთვის განაცხადებით უნდა მიემართათ. კანონპროექტი საქართველოს ხელისუფლებას დაბრუნებული მაჰმადიანი მესხების ფინანსურ უზრუნველყოფას არ ავალდებულებს, თუმცა რეპატრიანტთა სტატუსის მიღებისა და საქართველოში ჩამოსახლების შემდეგ მას ადგილობრივ მოსახლეობასთან ინტეგრაციის მიზნით სოციალური პროგრამების განხორციელება მოუწევს.

ცნობისთვის, 1944 წლის 15 ნოემბრის ღამეს საბჭოთა ხელისუფლებამ სამხრეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში მკაცრად გასაიდუმლოებული მასშტაბური ოპერაცია ჩაატარა. ათეულობით ათასი ადამიანი ნაცისტურ გერმანიასთან თანამშრომლობასა და საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო საქმიანობის ბრალდებით სატვირთო მატარებლებში შეყარეს და შუა აზიის გზას გაუყენეს. დეპორტაცია სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 31 ივლისის 6279-CC დადგენილებისა და სსრკ შსს-ს იმავე წლის 20 სექტემბრის 00117 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა, რომელიც თურქების, ქურთების, ხემშილების, აზერბაიჯანლების, იეზიდებისა და თათრების საქართველოს სსრ-ის საზღვრისპირა, კერძოდ ახალციხის, ადიგენის, ახალქალაქის, ასპინძის, ბოგდანოვკის, აგრეთვე ბათუმის, ქობულეთის, ქედისა და ხულოს რაიონებიდან სპეცგადასახლების წესსა და რიგს ადგენდა. რელიგიური ნიშნით გადასახლებას დაექვემდებარა დასახელებული რაიონების ყველა მცხოვრები, გარდა მდედრობითი სქესის წარმომადგენლებისა, რომლებიც სხვა ეროვნების პირებთან კანონიერ ქორწინებაში იმყოფებოდნენ. სულ საქართველოდან 19 818 ოჯახი გადაასახლეს, მათ შორის - თურქები (14 493 ოჯახიძ, ქურთები (1 830 ოჯახიძ, აზერბაიჯანლები (3 058 ოჯახიძ, იეზიდები (7 ოჯახიძ, თათრები (126 ოჯახიძ და ხემშილები (304 ოჯახიძ.

აღსანიშნავია, რომ იმდროინდელ ოფიციალურ დოკუმენტებში მაჰმადიანი მესხები მოხსენიებულნი არიან, როგორც თურქული წარმომავლობისა და ეროვნების პირები. ტერმინები „კავკასიელი თურქები", „საბჭოთა თურქები", „მესხეთელი თურქები" და „თურქი მესხები" საბჭოთა კავშირის საინფორმაციო საშუალებების მიერ მოგვიანებით, 1970-იან წლებში დამკვიდრდა.

1956 წელს, სტალინის გარდაცვალებიდან 3 წელიწადში მესხები კომენდანტის რეჟიმისგან გათავისუფლდნენ. შედეგად მათ მიეცათ უფლება, საქართველოს გარდა, სადაც უნდოდათ, იქ წასულიყვნენ.

ფერგანის 1989 წლის 23 მაისის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ, როდესაც მესხები დაარბიეს, უმრავლესობა რუსეთის სიღრმეში გადაიყვანეს, ნაწილიც აზერბაიჯანში გაიქცა. საქართველოში მათ კვლავ არ უშვებდნენ. მესხების სამშობლოში დაბრუნების საკითხი დღის წესრიგში 1990-იანი წლების ბოლოს დადგა, როდესაც პრობლემის მოგვარების მცდელობაში მთელი რიგი საერთაშორისო ორგანიზაციები ჩაერთვნენ და დეპორტირებულთა რეპატრიაციისა და რეინტეგრაციის პროცესის დაწყებისათვის აუცილებელი საშუალებებისა და გზების მოსაძიებლად მუშაობა განახლდა. გადასახლებული მესხები დღემდე მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში ლტოლვილის სტატუსით, ან საერთოდ უსტატუსოდ ცხოვრობენ.

**ნინო ჩიჩუა**

SIC!

# გრიგოლია გამოძიებას სწორი მიმართულებით სვლას ურჩევს

**საკრებულოს ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების" ლიდერის ინგა გრიგოლიას განცხადებით, არ სჯერა იმ გამოძიების, რომელიც სამშობიარო სახლ „გინეკაში" გამოვლენილ დარღვევებზე, კერძოდ, კი აბორტების საქმეზე მიმდინარეობს.**

როგორც მან საკრებულოში გამართულ ბრიფინგზე განმარტა, „ქრისტიან-დემოკრატები" უნდობლობას უცხადებენ სამედიცინო რეგულირების სააგენტოს გამოძიებას.

– უნდობლობას ვუცხადებთ გამოძიებას, რომელიც სამშობიარო სახლ „გინეკაში" მიმდინარეობს. სამედიცინო რეგულირების სააგენტოს წარმომადგენლებმა, რომლებიც კრიმინალური აბორტის საქმეს იძიებენ, მხოლოდ საბუთები მოითხოვეს. ნათელია, რომ არც ერთ საბუთში არ იქნება აღნიშნული, აბორტი უკანონოდ ჩატარდა თუ არა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ გამოძიება არასწორი მიმართულებითაა წასული. მოვუწოდებთ ჯანდაცვის სამინისტროს, ამ ფაქტზე გამოძიება უფრო ხარისხიანი იყოს, – განაცხადა გრიგოლიამ.

გრიგოლიამ აღნიშნა, რომ უკანონო აბორტების საქმე, რომელიც გაზეთ „პრაიმ-ტაიმის" ჟურნალისტებმა აწარმოეს, მიანიშნებს იმაზე, რომ კვიტაშვილის მინისტრობის პერიოდში ჯანდაცვის სამინისტროში სერიოზული დარღვევები ხდებოდა. მისივე განცხადებით, გამოძიების მიმდინარეობა არა მარტო ექიმებზე, არამედ უფრო ზემდგომ პირებზეც უნდა გავრცელდეს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

პრობლემა



***„ჩრდილოეთ კავკასიის სტრატეგიული განვითარების“, პრაქტიკულად, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების გადასახლების კრემლისეულ გეგმაზე, ნატო-რუსეთისა და აშშ-რუსეთის სამხედრო სფეროში თანამშრომლობის პერსპექტივებზე, ასევე იმაზე, დასავლეთ-რუსეთის თანამშრომლობა დააყენებს თუ არა დღის წესრიგში აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან რუსული ჯარების გაყვანის საკითხს, „ინტერპრესნიუსი“ „ეჟედნევნი ჟურნალის“ რედაქტორის მოადგილეს, პუბლიცისტსა და სამხედრო ექსპერტს ალექსანდრე გოლცს ესაუბრა.***

# „რუსეთის ნატოსთან თანამშრომლობა და ინტეგრაცია აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან რუსული ჯარის გაყვანაზე არანაირად არ იმოქმედებს“

**– ბატონო ალექსანდრე, როგორ აფასებთ რუსეთის ხელისუფლების მიერ შემუშავებულ „ჩრდილოეთ კავკასიის განვითარების სტრატეგიას“, რომელიც ქვეყნის პირველმა პირებმა მოიწონეს?**

– წარმოდგენილი სტრატეგია ჩრდილოეთ კავკასიაში ტერორისტული საქმიანობის შეწყვეტას ითვალისწინებს. სამწუხაროდ, ეს პრობლემა გადაუწყვეტელია, ვინაიდან დაღესტანში პრაქტიკულად ტერორისტული ომი მიმდინარეობს და ფედერალური ხელისუფლება ტერორიზმს ვერაფერს უხერხებს. ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებთათვის ქვეყნის სხვა რეგიონებში სამუშაო ადგილების შექმნის ინიციატივა და რუსულენოვანი მოსახლეობისათვის, რომლებმაც ეს რეგიონი დატოვეს, ამ რეგიონში დაბრუნების წახალისების სტრატეგია გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი და მხოლოდ მაშინ იქნება ეფექტიანი, თუ ფედერალურმა ხელისუფლებამ ჩრდილოეთ კავკასიაში ტერორიზმი დაამარცხა.

**– უცნაურად ხომ არ გეჩვენებათ, სამუშაო ადგილების მოძიებისა და დასაქმების მოტივით მთელი ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების გადასახლების ინიციატივა?**

– მადლობა ღმერთს, საუბარი არაა ხალხების ძალადობრივ გადასახლებაზე. საუბარია ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაზე. ამგვარი გადასახლების ბევრი წარმატებული მაგალითი არსებობს და ცუდი არაფერია იმაში, თუ ადამიანები დასაქმდებიან და შემდეგ სახლებში დაბრუნდებიან. ასე რომ, არ ვფიქრობ, რომ მთავრობის ამ ინიციატივაში რამე უცნაური იყოს.

**– ეს ინიციატივა ხომ არ ნიშნავს იმის აღიარებას, რომ ხელისუფლება ჩრდილოეთ კავკასიაში არსებულ ნაციონალურ და სეპარატისტულ მოძრაობებთან ბრძოლას განაგრძობს? თუ სიმართლეს თვალს გაუსწორებთ, შეამჩნევთ, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში მარტო ტერორიზმთან ბრძოლა არ მიმდინარეობს...**

– ფაქტია, რომ სეპარატისტული მოძრაობების უკან ისლამისტი ტერორისტები დგანან. ისიც ფაქტია, რომ ხელისუფლება ტერორიზმს ჯერ ვერ გაუმკლავდა. ჩეჩნეთის მაგალითი, როცა ცენტრმა ადგილზე მთელი ძალაუფლება თავის ვასალ კადიროვს ჩააბარა, ჩრდილოეთ კავკასიის ყველა რესპუბლიკაში, მაგალითად დაღესტანში, ნაკლებად მისაღებია, ვინაიდან ამ რეგიონში მრავალეთნიკური ჯგუფები ცხოვრობენ.

**– თუ სწორად მიგიხვდით, დადებითად აფასებთ ხელისუფლების მიერ ჩრდილოეთ კავკასიის განვითარების სტრატეგიას, მაგრამ ხომ არ გამოიწვევს ეს ამავე რეგიონში მცხოვრები ხალხების ეთნოკულტურული სივრცის განადგურებას და დროთა განმავლობაში ამავე ხალხების გაქრობას?**

– მე ჩრდილოეთ კავკასიის სპეციალისტი არ გახლავართ, მაგრამ ამ ხალხების ეთნოპოლიტიკური სივრცე და მონოლითურობა საბჭოთა პერიოდში წარმატებით დაინგრა. ყოველ შემთხვევაში, უხუცესთა ინსტიტუტს არც ერთ ეტაპზე კონკრეტული დადებითი შედეგი არ მოუტანია.

**– ამას წინათ, ლონდონში პოლიტიკური სტატუსით მცხოვრებმა ახმედ ზაკაევმა განაცხადა, რომ კავკასიის საამირო და მისი ლიდერი უმაროვი რუსული სპეცსამსახურების პროექტია და მიზნად ჩრდილოეთ კავკასიაში ნაციონალური სეპარატისტული მოძრაობების განადგურებას ისახავს, რასაც კრემლი ამ რეგიონში ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით ახორციელებს. თქვენი აზრით, რამდენად სწორად აფასებს ვითარებას ახმედ ზაკაევი?**

– ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი ძალოვანი სტრუქტურები ისეთივე კორუმპირებულები არიან, როგორც რუსეთის ხელისუფლების სხვა სტრუქტურები ქვეყნის მასშტაბით, მაგრამ იმის თქმა, რომ თავად ისინი აწყობენ ჩრდილოეთ კავკასიაში ტერორისტულ აქტებს, სისულელეა. სისულელეა, თუნდაც იმიტომ, რომ სწორედ ისინი აგებენ პასუხს იმაზე, რაც ჩრდილოეთ კავკასიაში ხდება. რაც შეეხება ხელისუფლებას, კრემლი აშკარად გაღიზიანებულია და არც მალავს, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ტერორიზმის დამარცხება აქამდე ვერ შეძლო.

**– როგორ აფასებთ ნატო-რუსეთსა და აშშ-რუსეთს შორის სამხედრო სფეროში დაწყებულ თანამშრომლობას და ამ თანამშრომლობის პერსპექტივას?**

– სადაცაა, რუსეთი საფრანგეთთან ხელს მოაწერს შეთანხმებას „მისტრალის“ შეძენის შესახებ. სერიოზულად განიხილება რუსეთის მიერ იტალიაში ჯავშანტექნიკის შეძენა და შემდეგ იტალიელებთან ერთად იმავე ჯავშანტექნიკის სერიული გამოშვება. როგორც ჩანს, ნატო ახლოსაა მიიღოს გადაწყვეტილება ავღანეთისათვის შვეულმფრენები რუსეთისაგან შეიძინოს. არ შეიძლება იმის თქმა, რომ ნატო-რუსეთის თანამშრომლობის მასშტაბები დიდია, მაგრამ ის, რომ ამგვარი თანამშრომლობა ვითარდება, ფაქტია.

**– რუსეთში აქტიურად დაიწყო იმაზე საუბარი, რომ რუსეთი ნატოში თუ დღეს არა, ხვალ მაინც გაერთიანდება. თქვენი აზრით, რამდენად რეალურია რუსეთის ნატოში გაერთიანების პერსპექტივა?**

– მე იმ ადამიანთა ჯგუფს მივეკუთნები, რომლებიც თვლიან, რომ რუსეთის უსაფრთხოება მომავალში ნატოს სისტემაში შეიძლება იყოს უზრუნველყოფილი. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ის საბაზო პირობები, რომელსაც ნატო ყველას უყენებს. ნატოში გაწევრიანების ერთ-ერთი პირობა დემოკრატიული ინსტიტუტების, ხელისუფლების სამი დამოუკიდებელი შტოს არსებობა და დემოკრატიული არჩევნების გზით ხელისუფლების ცვლილებაა. რუსეთში კი ამის მსგავს რამეზე საუბარი შეუძლებელია, ვინაიდან ასეთი რამ, ყოველ შემთხვევაში ახლა, არ არსებობს. რუსეთმა შეიძლება იოლად დააკმაყოფილოს ნატოს სამხედრო-ტექნიკური სტანდარტები, მაგრამ არანაირი პერსპექტივა არ არსებობს საიმისოდ, რომ ახლო მომავალში რუსეთი დემოკრატიის თვალსაზრისით ნატოს საბაზო მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. თუ რუსეთში დემოკრატია იქნა, რუსეთისთვის ნატოს კარი ღია იქნებოდა, მაგრამ პრობლემაც ის არის, რომ რუსეთი დემოკრატიისაგან ძალიან შორსაა.

**– დასავლეთისა და ნატოსკენ რუსეთის სწრაფვა საზოგადოების გულწრფელი სურვილია, თუ საქმე გვაქვს ხელისუფლების მიერვე ინიცირებულ მისწრაფების იმიტაციასთან?**

– რუსული საზოგადოება რუსეთის დასავლეთთან და ნატოსთან დაახლოების საკითხებისადმი სრულ გულგრილობას ამჟღავნებს. თუ იმ პოლიტოლოგებს არ ჩავთვლით, ვისაც დროგამოშვებით დასავლეთის ქვეყნებში ჩასვლის საშუალება ეძლევათ, ეს საკითხები საზოგადოებას არ აინტერესებს.

**– თქვენი აზრით, რუსეთის ნატოსთან დაახლოება და ინტეგრირების პერსპექტივა რამდენად შეუწყობს ხელს რუსეთის მიერ აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან რუსული ჯარების გაყვანას და ამ კონფლიქტების სამართლიანად მოგვარებას?**

– ეს საკითხი სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის არაა და რუსეთის, როგორც სახელმწიფოს მოწყობას უკავშირდება. მანამდე, ვიდრე რუსეთში ეს მმართველი რეჟიმი იქნება, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხებში არავითარი წინსვლა არ მოხდება. ტანდემის წევრებისათვის ეს საკითხები ძალიან პრინციპული თემაა.

რუსეთის ნატოსთან თანამშრომლობა და ინტეგრაცია აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან რუსული ჯარის გაყვანაზე არანაირად არ იმოქმედებს. თავად განსაჯეთ, ყველა მოლაპარაკების შემდეგ აშშ-სა და რუსეთის, ნატოსა და რუსეთის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მხარეებს პრინციპულად განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ საქართველოს საკითხში, მაგრამ ისინი მზად არიან ყველა საკითხში ითანამშრონ, სადავო საქართველოს საკითხის გარდა.

**– ბატონო ალექსანდრე, თქვენი აზრით, რა ხდება რუსულ პოლიტიკურ ელიტაში? იზიარებთ მოსაზრებას, რომ მედვედევსა და პუტინს შორის დაპირისპირებას იდეოლოგიური საფუძველი აქვს? ამბობენ იმასაც, რომ რუსეთში ერთმანეთს კვლავ „ზაპადნიკები“ და „სლავიანოფილები“ უპირისპირდებიან?**

– ჩემი აზრით, ის, რაც ხდება, იდეოლოგიურ ბრძოლას არ უკავშირდება. ბრძოლა მიდის იმ ჩინოვნიკურ კლანებს შორის, რომლებიც მედვედევსა და პუტინს შორის ჩამოყალიბდნენ. ეს ბრძოლა ლოკალურ ხასიათს ატარებს, მაგრამ უკვე გამოიწვია მოსკოვის მერის იური ლუჟკოვის გათავისუფლება. ლუჟკოვი რომ არ გაეთავისუფლებინა, მედვედევს პრეზიდენტად არავინ ჩათვლიდა. ახლა კი ისეთი პირი უჩანს, რომ 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ტანდემიდან კენჭს მედვედევი იყრის. გარკვეული ინტრიგა მაინც რჩება, მაგრამ არანაირად არ შეიძლება იმის თქმა, რომ დაპირისპირება იდეოლოგიურ ხასიათს ატარებს და ერთმანეთს „ზაპადნიკები“ და „სლავიანოფილები“ უპირისპირდებიან.

**კობა ბენდელიანი**

წარდგენა

# გვაქვს ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედია

**გამოიცა ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედია! ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრმა რამდენიმეწლიანი მუშაობის შემდეგ ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედია – სიტყვანი საზოგადოებას წარუდგინა.**

იდეა დაიბადა და სამუშაოები ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო, როცა ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიას პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე ხელმძღვანელობდა. თუმცა იმ დროს შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ ჩანაფიქრი ჩანაფიქრად დატოვა. იდეა რამდენიმე წლის წინათ გაცოცხლდა, როდესაც პროექტით „ვითიბი ჯორჯიას“ ხელმძღვანელობა დაინტერესდა. „ვითიბი ჯორჯიამ“ და ექვთიმე თაყაიშვილის საქველმოქმედო ფონდმა (დამაარსებელი ზაზა სიორიძე) ამ პროექტის დაფინანსება გადაწყვიტა.



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომლების ერთმა ჯგუფმა (ნინო მამარდაშვილი – კვლევის ცენტრის დირექტორი, გიორგი აბაშიძე – ცენტრის სამეცნიერო ხელმძღვანელი, მანანა ბარათაშვილი, ნანა ზღულაძე, ზეინაბ ლომჯარია, თამარ მიქაძე, ნათელა საღირაშვილი, ლეილა სულხანიშვილი, მანანა ყიფიანი, მარი წერეთელი, გურამ ჭოხონელიძე) ჩამოაყალიბა ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრი და მოიპოვა ილია ჭავჭავაძის პერსონალურ ენციკლოპედიაზე მუშაობის საავტორო უფლება.

– ქართული მწერლის პერსონალური ენციკლოპედია პირველი იქნება ჩვენს რეალობაში, – აღნიშნა ნინო მამარდაშვილმა, – ჯერჯერობით მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის ენციკლოპედიური ლექსიკონია გამოცემული. ევროპასა და რუსეთში ასეთ გამოცემებს დიდი ტრადიცია აქვს. კარგა ხანია არსებობს დანტეს, შექსპირის, ბერნსის, დიკენსის, გოეთეს, შილერის, პუშკინის, ლერმონტოვის, სალტიკოვ-შჩედრინისა და სხვათა პერსონალური ენციკლოპედიები. ამგვარი მიდგომა ცხადად ადასტურებს ქვეყნის, სახელმწიფოს დამოკიდებულებას საკუთარი კულტურული მემკვიდრეობისადმი.

ილია ჭავჭავაძის პერსონალურ ენციკლოპედია-სიტყვანში ილიას მხატვრულ-პუბლიცისტურ შემოქმედებასთან ერთად მოცემულია ილიას შესახებ გამოქვეყნებულ ნაშრომებსა და მოგონებებში აღნუსხული ცნობები, არქივებში დაცული მასალები, ასევე ჩვენი თანამედროვეების მიერ მოწოდებული ზეპირი ცნობები მათი წინაპრების ილიასთან ურთიერთობის შესახებ. ასევე, ტოპონიმიკის ნაწილი ილიას საპოლიტიკო და სხვა ხასიათის წერილებიდან, მხატვრული თხზულებებიდან, პირადი მიმოწერიდან...

ილია ეპოქის განმსაზღვრელი ფიგურაა, აღნიშნულია ენციკლოპედიის წინასიტყვაობაში, – ამიტომაც საენციკლოპედიოდ შეირჩა თემები: სოციალურ-პოლიტიკური და კულტურულ-საზოგადოებრივი ვითარების შესახებ XIX საუკუნის საქართველოს 60-იან წლებამდე და 60-იანი წლების შემდეგ. აგრეთვე პოლიტიკური ვითარება XX საუკუნის პირველ წლებში – თუ რა ვითარება იყო ქვეყანაში საზოგადოებრივ ასპარეზზე ილიას გამოჩენამდე და რა სიახლე შეიტანა, რა შეცვალა ქვეყნის ცხოვრებაში ილიას მოვლინებამ. ამასთან, უნდა გამოიკვეთოს საუკუნის დასაწყისის სურათებიც, რომელმაც საბედისწერო როლი შეასრულა როგორც ქვეყნის, ასევე მწერლის ცხოვრებაში, გამოკვეთონ ილიასთან დაპირისპირებული, მასთან მებრძოლი ძალები.

ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედია – სიტყვანის წარდგენაზე ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქველმოქმედო ფონდში სიტყვით გამოვიდნენ: ნინო მამარდაშვილი, ზაზა აბზიანიძე, როინ მეტრეველი...

პროექტი აკურთხა და დალოცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ. აღსანიშნავია, რომ ენციკლოპედიის წარდგენა სვეტიცხოვლის დაარსების 1700 და განახლებიდან 1000 წლისთავს დაემთხვა.

**თამარ შაიშმელაშვილი**

## თავისუფალი ტრიბუნა

# ნატოს ცრემლების არ მჯერა!..

**ვერანაირი ცრემლი, თუნდაც ალალი, გულწრფელი მისამძიმრება ვერ მიესალბუნება მშობლის გულს, მით უმეტეს ისეთი ფორმალური, გნებავთ პოლიტიკური მორალიდან გამომდინარე ჟღერს სამძიმარი ყალბად, როგორითაც ნატოს „გენსეკმა“, ანდრეა რასმუსენმა მოგვისამძიმრა კიდევ 4 ძალღონით სავსე ქართველი ვაჟკაცის დამიწება შორეულ და, რაც მთავარია, ჩვენთვის აბსოლუტურად „გაუგებარ“ ავღანეთში – როგორც ჩანს, ისტორია იმისთვის არსებობს, რომ მისგან არაფერი ვისწავლოთ! ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის, ქართველებისთვის ასეა.**

პირველად სამი საუკუნის წინათ იქნევდა ავღანეთში ხმალს დიდი მოურავი გიორგი სააკაძე. მოგვიანებით იქვე აღესრულა მეფე გიორგი XI, რომელიც სხვა, ასობით ქართველთან ერთად, ავღანეთის გმირის, მირ-ვეისის შურისმგებლურ მახვილს შეეწირა. ამ დროს კი, მის სამშობლო ჯანდაშრეტილ საქართველოში, მისი ძმისწული ვახტანგ VI ჯანიშინობდა. პატარა კახმაც ღვარა ავღანთა და ქართველთა სისხლი.

შემდეგ, უკვე საბჭოთა კავშირის სახელით ვასრულებდით ე. წ. ინტერნაციონალურ ვალს, როგორც მაშინდელი პროპაგანდა უწოდებდა, Ограниченный военный контингент-ის რიგებში – მაშინაც ბევრი ქართველის მზე დაბნელდა ავღანეთის ცხელ უდაბნოებში.

მაშინ, როგორც იტყვიან, „თავს ზემოთ ძალა არ იყო“, რადგანაც შაჰ აბასის, ნადირ შაჰის თუ საბჭოთა პოლიტბიუროს გეოპოლიტიკურ თამაშებს ვეწირებოდით იძულების წესით.

ახლა? ახლაც თითქმის იგივე სურათია – აშშ-ის იმპერიის გეოპოლიტიკურ ინტერესებს ვეწირებით. აშშ-ის, რომელმაც საკუთარი ეროვნული ინტერესების ტერიტორიებად, ლამის მთელი მსოფლიო: ერაყი, ავღანეთი, სპარსეთის ყურე და ა. შ. გამოაცხადა, მაგრამ მსგავსებასთან ერთად, ერთი „უმნიშვნელო“ განსხვავებაც არის – რომ არა ჩვენი ხელისუფლების ახირება, არავინ გვაიძულებს ავღანეთი იქნება თუ ერაყი, საკუთარი სისხლის ღვრას.

ნატოს „გენსეკის“ ჩამოსვლას დაემთხვა ჩვენი ბიჭების დაღუპვაო, – წერენ და ლაპარაკობენ, რაც არ მგონია სწორი იყოს, რადგან ეს დამთხვევა კი არა, ღვთის ნიშანი უფრო მგონია – იქნებ დავფიქრდეთ და გონს მოვიდეთ ქართველები. ერთადერთი, რაც კი არ დაემთხვა, ამ დამთხვეულმა ნაცებმა დაამთხვიეს ნატოს „გენსეკის“ ჩამოსვლას, ნატოს კანტორის გახსნაა თბილისში.

ჰოდა აყაყანდნენ გიგა ბოკერია თუ გიორგი ბარამიძე და მათი დამქაში „ექსპერტები“, თორნიკე შარაშენიძე თუ ალექსანდრე რონდელი – არის ასრულდა, რასაც ველოდით, გაიხარე ქართველო წამებულო, ნატოში აუცილებლად მიგვიღებენ, ეგ გადაწყვეტილია, რაც კიდევ ერთხელ აღნიშნა რასმუსენმა – აუცილებლად მიგვიღებენ, ოღონდ ეს დროის ამბავიაო.

დროის, რომელიც ჩვენზე ნამდვილად არ მუშაობს, რადგანაც, რაც დრო გადის, სულ უფრო ვშორდებით აფხაზეთ-სამაჩაბლოს! ეგეც არ იყოს, რაც ნამდვილად გადაწყვეტილი აქვს ნატოს, ის არის, რომ მიუხედავად აშშ-ს ზეწოლისა, ევროპა უარს ამბობს ნატოს შემდგომ გაფართოებაზე, რადგანაც ისეთი ქვეყნების მიღებამ, როგორებიც ბალტიის ქვეყნები და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებია, ნატო მხოლოდ დაასუსტა.

უახლოეს მომავალში მხოლოდ იგივე აშშ-ს მიერ მარტივ მამრავლებად დაშლილი ყოფილი იუგოსლავიის სამი ქვეყნის მიღება იგეგმება ნატოში, რის შემდეგაც ამ სამხედრო ალიანსის კარი ჩაირაზება და როგორც მინიმუმ 10 წლიწადი, ახალი წევრების მიღებაზე საუ-



ბარიც კი არ იქნება და მკითხველმა თავად განსაჯოს ეს ე. წ. „დროის საკითხი“, რამხელაზე შეიძლება გაიწელოს!

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ავღანეთში თუ ერაყში ჩვენი სამხედრო შენაერთის ყოფნის ნამდვილი მიზეზი იმდენად ბანალური და პროზაულია, რომ ამაზე ლაპარაკიც არ ღირს – ჩვენი ბიჭების დაღვრილიც და დასაღვრელი სისხლი – ეს არის პირადად მიხეილ სააკაშვილის მიერ გადახდილი ხარკი, საკუთარი სავარძლის შენარჩუნებისთვის.

სამწუხაროდ, გამართლდა ის, რასაც ადრე „ვწინასწარმეტყველებდი“ – მუხრან შუკვანი ტრაგედიის მაცნე პირველი მერცხალი იყო, ხოლო რამაზ გოგიაშვილი, დავით ცეცხლაძე, გიორგი კოლხიტაშვილი და ნუგზარ კალანდაძე, ხუთჯვრიან დროშებში გახვეული კუბოების ქარავნის დასაწყისია.

როგორც ერთ დროს სტალინი ამბობდა, ერთი კაცის სიკვდილი **ტრაგედიაა,** მილიონების კი **სტატისტიკა** და როცა ეს სტატისტიკა უფრო მასშტაბური გახდება, ალბათ მაშინ გამოფხიზლდებიან შვილმკვდარი დედები თუ მამები და...

ახლა იქნებ ვინმე გამოტყვრეს და რას ითარსებიო, დამამუნათოს. არაფერსაც არ ვითარსები, უბრალოდ, ბევრისგან განსხვავებით ვხვდები, რომ ის, რასაც ნატოს ჩინოვნიკები საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლას, ან კიდევ უფრო ცინიკურად – ავღანეთში სამშვიდობო ოპერაციას უწოდებენ, არც ერთი არის არის მართალი. ავღანეთში ნამდვილი ომია გაჩაღებული, რომელშიც ერთის მხრივ აშშ იბრძვის საკუთარი „ეროვნული ინტერესებისთვის“ და მეორეს მხრივ თავისუფლებისმოყვარე ავღანელები იბრძვიან საკუთარი სამშობლოსთვის.

ომია, ყოველდღიური და დაუნდობელი. ამიტომ რა გასაკვირია, რომ რაც დრო გავა, მსხვერპლი, მათ შორის ქართველების, სულ უფრო მოიმატებს.

დანაშაულზე წასწრებული ბავშვების თავის მართლებას ჰგავდა ის, როცა გიგა ბოკერია, გიორგი ბარამიძე თუ ალექსანდრე რონდელი, განსხვავებით ეს უკანასკნელი რუკასთან ჯოხით ხელში გვიხსნიდა სად, შესასვლელი და გამოსასვლელი აქვს ავღანეთს და იქ დაღვრილი ქართული სისხლის საქართველოს ეროვნული ინტერესებისათვის დაღვრილად წარმოჩენას ცდილობდა.

მე, რატომღაც ამის შემხედვარეს უიარაღოს მამლუქი და ლევან სანიკიძის ფრთიანი ფრაზა – „მჭედელნი უცხო თესლთა ისტორიისა“ და „წესადაცა არს წინამბრძოლობა ქართველთა“ გამახსენდა!

როდემდე „ჩემო კარგო ქვეყანავ“, როდემდე?..

**დავით მხეიძე**

## შიდა ბაზარი

# ზამთრის პირზე კარტოფილიც გაძვირდა, ყველიც და... ოქროც

**შემოდგომა, როგორც წესი, საქართველოს ყველა მხარეში, ისევე, როგორც ჩვენი მსგავსი გეოგრაფიული პირობების მქონე ქვეყანაში, ჭირნახულის აღებისა და დაბინავების დროა, შესაბამისად, შიდა ბაზარზე სოფლის მეურნეობის პროდუქცია – ხილი, ბოსტნეული – წლის სხვა დროებთან შედარებით გაცილებით იაფი ღირს. ასე იყო ოდითგანვე, მაგრამ წლეულს სულ სხვა მდგომარეობაა.**

გაიაფების ნაცვლად, რაც ხალხს, მით უმეტეს ქალაქის მცხოვრებლებს, ზამთრისთვის გარკვეული მარაგის გაკეთების შესაძლებლობას აძლევდა, ხილიც და ბოსტნეულიც დღითი დღე თუ არა, კვირიდან კვირამდე ძვირდება. საქმე მარტო ზაფხულის გვალვის, ანდა მოსავლის სიმწირით არ არის გამოწვეული, მიზეზი რამდენიმეა.

ერთი ის, რომ ბოლო წლებში ვერც სოფლის მეურნეობის პროდუქციის ბაზრებში, რომლებიც დედაქალაქის ცენტრალურ ნაწილში თითებზე ჩამოსათვლელიღა დარჩა, ვერც მანამდე ქუჩაში გარემოვაჭრეებში, თავად პროდუქციის უშუალოდ მომყვანს, ანუ გლეხკაცს, სანთლით რომ გეძებნათ, ვერსად ნახავდით იშვიათი გამონაკლისის გარდა. მათი ადგილი უამრავმა იძულებით ადგილნაცვალმა და შორეული თუ ახლობელი სოფლების სიდუხჭირეს გამოქცეულმა ხალხმა ჩაანაცვლა, რომელმაც ამ საქმეს ლუკმაპურის საშოვნელად მოჰკიდა ხელი. მეორე ისაა, რომ ასე მომრავლებულ გაკოხტავებულ „მარკეტებში“ კი მეპატრონეებს ჯერ ამ მაღაზიებზე დახარჯული ფულის ამოღებისა და მერე მოგების მისაღებად იმდენად მაღალი ფასები აქვთ დაწესებული, რომ ხალხის უმრავლესობას იქ შეძენაზე ხელი არ უწვდება. მესამე კი ის, რომ გახმაურებული განცხადებების მიუხედავად, ინფლაციის ტემპი გაცილებით მაღალია, ვიდრე დაგეგმილი წლიური 7 პროცენტი და რეალურად უკვე ორჯერ მაინც მეტია.

ამას იმასაც თუ დავუმატებთ, რომ საქართველოში, ინფლაციის რაგინდ მაღალი ტემპით ზრდის პირობებში, არც საშუალო ხელფასების, არც მით უმეტეს პენსიების ინდექსაცია ჯერ არასდროს მომხდარა, მოსახლეობის საარსებო პირობების წლიდან წლამდე გაუარესება არაფერი გასაკვირია. ყველაფერ ამას კი, ბიუჯეტის შევსების უმეტესწილად ფისკალური მეთოდებით და არა სამეწარმეო მოღვაწეობის შედეგად შევსების პირობებში, თანაც საერთო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ფონზე, სწორედ ის შედეგი მოაქვს, რა შედეგიც ქვეყანაში დღეს გვაქვს.

საქართველო კარგა ხანია მსოფლიო არენაზე დამოუკიდებლადაა გამოსული, ამდენად გლობალური ფინანსური და ეკონომიკური პროცესები ჩვენს ფინანსურ-ეკონომიკურ ყოფაზე მეტ-ნაკლები სიმძაფრით აისახება. ასეა ახლაც: ბოლო თვეების მანძილზე ლარი ეროვნულ სავალუტო ბაზარზე დოლარის მიმართ გამყარდა, ევროსთან კი – შესუსტდა, რაც ამ უკანასკნელის დოლართან მიმართებაში აწევის ანარეკლია. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ როგორც საქართველოს ეროვნულ ბანკში აცხადებენ, ბოლო თვეებში ინფლაციის ტემპის ზრდის შესაჩერებლად საჭირო ნაბიჯებს დგამენ. ეს კერძოდ, იმაში გამოიხატება, რომ მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა საპროცენტო განაკვეთი 6,25 პროცენტიდან 7 პროცენტამდე გაზარდა, რასაც, წესით და რიგით, ფასების ზრდა უნდა შეეჩერებინა და, სამართლიანობა მოითხოვს უნდა აღინიშნოს, გარკვეულწილად ეს მოხერხდა კიდეც – მაგალითად, ჯერჯერობით მაინც მეტ-ნაკლებად, სტაბილურია ხორბლისა და შაქრის, კვების ზოგიერთი სხვა პროდუქტის ფასები, თუმცა კი მანამდე, მსოფლიო ბაზარზე შექმნილი ნეგატიური გარემოს პირობებში, მათ მნიშვნელოვნად მოიმატეს.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო თვეების განმავლობაში გაიზარდა სახაზინო ვალდებულებების ემისია, რომელმაც 100 მილიონ ლარს გადააჭარბა, ამასთან, მოიმატა საპროცენტო განაკვეთმაც, რომელმაც წლიურ 15-16 პროცენტს მიაღწია. კომერციული ბანკები აქტიურად იყენებენ მოკლე, შვიდდიან რეფინანსირების აუქციონებს, რომელთა მთლიანმა ბრუნვამ დიდი ხანია მილიარდნახევარ ლარს გადააჭარბა. ამის გარდა, მსოფლიო ბაზარზე არნახულად გაიზარდა ოქროს ფასი, რაც ქართულ საინვესტიციო მომენტებზეც აისახა.

ამასთან ერთად, ბუნებრივია, რომ ქვეყნის ეკონომიკისთვის მეტად მნიშვნელოვანია საგარეო სავაჭრო ურთიერთობები და უმთავრეს პარტნიორებთან სადღეისოდ არსებული მდგომარეობა. უნდა ითქვას, რომ ბოლო ათწლეულის მანძილზე, საერთო სურათი ამ მხრივ, ფაქტობრივად არ იცვლება. კერძოდ, იანვარ-სექტემბერში ქვეყნის ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის წილი, რომელთა სათავეშია თურქეთი, აზერბაიჯანი და უკრაინა, საგარეო ვაჭრობის მთლიან მოცულობაში დაახლოებით 70 პროცენტს შეადგენს, ხოლო აღნიშნული სამეულის ჯამურმა ბრუნვამ მილიარდნახევარ დოლარს გადააჭარბა. აქვე უნდა აღინიშნოს საგარეო ვაჭრობის ბრუნვის მთლიანი მოცულობის ზრდა, რომელიც შარშანდელ ანალოგიურ მაჩვენებელზე 18 პროცენტით მაღალია. მაგრამ, ბოლო წლების ტენდენცია, როცა უცხოური საქონლის იმპორტი ქვეყანაში მის ექსპორტის არა მარტო ფაქტობრივი მაჩვენებლებით, არამედ ზრდის ტემპითაც სამჯერ და მეტად მეტია, ხელისუფლების ეკონომიკური „გენერლებისთვის“ ეს საგანგაშო სიგნალი მარტო ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე ყურადღების გატანის ნიშანი არ უნდა იყოს.

სასიკეთოდ შეიძლება მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ წლეულს საქართველოს პროდუქციის ექსპორტის მოცულობა ევროკავშირის ქვეყნებში 20 პროცენტით გაიზარდა, ხოლო იქიდან იმპორტმა მხოლოდ 8 პროცენტით მოიმატა, თუმცა აბსოლუტური ციფრების მოტანა უდიდესი განსხვავების გამო, გუნებას უფრო გაგვიფუჭებს, ვიდრე გაგვახარებს. ზუსტად ასეთივე მდგომარეობაა დსთ-ს ქვეყნებთან საგარეო ვაჭრობის მხრივ.

გარკვეულწილად იცვლება საქართველოდან ექსპორტირებული პროდუქციის სასაქონლო ჯგუფების ნუსხა. 16 პროცენტით პირველობს ფეროშენადნობების ექსპორტი, მეორეზე, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მსუბუქი ავტომანქანებით საგარეო ვაჭრობაა, თუმცა მესამე ადგილზე კვლავ ბოლო წლების აბსოლუტური ლიდერი შავი ლითონების ჯართის გატანა დარჩა.

რაც შეეხება იმპორტს, ამ მხრივ უმსხვილეს სასაქონლო ჯგუფებს, აქ 13 პროცენტით ისევ ნავთობი და ნავთობპროდუქტები ლიდერობს, რაც არც არის გასაკვირი, მეორეზეა მსუბუქი ავტომობილების შემოტანა, მესამეზე კი სამკურნალო პრეპარატებისა.

**ოთარ ტურაბელიძე**

***ძვირფასო მკითხველო, ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, სულმნათი აკაკი წერეთლის სახელობის ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც კულტურულ-ეკონომიკური ცენტრი, შპს „თეთრი ქალაქი“ მდებარეობს, უკვე ორ წელზე მეტია ტრაგიკომიკური პროცესები მიმდინარეობს, რომელიც დღეისათვის თავის აპოგეას აღწევს და თანდათან ტრაგიკომიკურიდან სულ უფრო აშკარად გამოხატულ დრამატულ სახეს იღებს, რასაც ეწირება ასეულობით სრულიად უდანაშაულო ადამიანის, საშუალო და მცირე ბიზნესის წარმომადგენელთა სასიცოცხლო ინტერესები — როგორც მატერიალური, ისე სოციალური და, თქვენ წარმოიდგინეთ, სულიერიც.***

# „აბსურდის თეატრის“ თეთრიქალაქისეული სპექტაკლის ახალი პერიპეტიები

**ჩემი პუბლიკაციების „გმირებმა“ კატათაგვობანას თამაში წამოიწყეს**

მე, როგორც ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი უძველესი დამფუძნებელი, ყოფილი გენერალური დირექტორი, რომლის მხრებზეც უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში გადაიარა მრავალმა ქარტეხილმა, ურომლისოდაც, ალბათ, დამეთანხმებით, 1995 წელს ჭაობად ქცეული და სიბინძურეებით ცნობილი, კომერციული თვალსაზრისით, უპერსპექტივოდ მიჩნეული მიწის ვიწრო და გრძელი ზოლი ვერ გადაიქცეოდა უთანამედროვეეს სავაჭრო ცენტრად, რომლის ფართობიც დღეისთვის 26 ათასზე მეტ თანამედროვე მაღალი სტანდარტების შესაბამის სავაჭრო და დამხმარე დანიშნულების ფართს შეადგენს, და რომლის ნომინალური ღირებულებაც არაერთი ათეული მილიონი დოლარის ტოლფასია.

როდესაც მიმდინარე წლის ადრეულ გაზაფხულზე შპს-ს მესვეურებთან ამ საკითხის მოგვარების ყოველგვარი იმედი გადაიწურა, კერძოდ, შპს „თეთრი ქალაქის“ ხელმძღვანელობაში დღეს მოკალათებული ადამიანთა ჯგუფის უგნური და მეტისმეტად ხარბი პოლიტიკის გამო მე, რადგან სხვა გზა ვერ გამოვნახე, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოვაქვეყნე რამდენიმე ღია წერილი (რისთვისაც კვლავ და კვლავ მადლობას მოვახსენებ ამ სოლიდური გამოცემის სარედაქციო კოლეგიასძ იმ იმედით, რომ შევძლებდი „მომერჯულებინა“ ისინი და სწორ გზაზე დამეყენებინა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის გაკეთება ვერ შევძელი. ამ პუბლიკაციებში ვცადე, დღის სინათლესა და სახალხო სამსჯავროზე გამომეტანა ამ ჭეშმარიტად დიდი მასშტაბის თაღლითობის გზით გამდიდრების განზრახვით შეპყრობილი ჯერ რამდენიმე ადამიანის სამარცხვინო მოქმედებები და მინდოდა ყველა დანარჩენის საჯაროდ შერცხვენა იმ იმედით, რომ ისინი, სანამ ჯერ კიდევ ეს შესაძლებელია, ხელს აიღებდნენ უკეთური განზრახვებისშემდგომ განხორციელებაზე, რასაც ბევრ სხვა დადებით შედეგებთან ერთად მოჰყვებოდა მდგომარეობის გარკვეული ზომით გამოსწორება, და ამ უკანასკნელებს მისცემდა შანსს — თავი დაეღწიათ სერიოზული, მათ შორის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან. მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენმა „გმირებმა“ სხვაგვარად განსაჯეს და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ცალ ფეხზე დაიკიდეს ყოველგვარი საფრთხე, რასაც არც ერთი ნორმალურად მოაზროვნე ადამიანი არ იზამდა. არც ის არის გამორიცხული, რომ ვინმე მათ დაუსჯელობის იმედს ან სულაც გარანტიას აძლევდეს, რასაც არც ერთი საღად მოაზროვნე ადამიანი სერიოზულად არ მიიღებდა და, მით უმეტეს, ამ იმედით თავის დანაშაულებრივ საქმიანობას არ გააგრძელებდა. მაგრამ, როგორც იტყვიან, თუ ვინმეს კისრის მოტეხა აქვს გადაწყვეტილი, ერთობ ძნელია მისი გაჩერება, მით უფრო, თუ მას „ბეწვის ხიდზე“ სიარულის სანაცვლოდ ღრუბლებში დიდი პრიზი, ჩვენს შემთხვევაში სოლიდური ფულადი პრემია ელანდება...

რაც შეეხება კატათაგვობანას, იმის გასარკვევად, რომ კატათაგვობანას მეთამაშებოდნენ, თვეზე მეტი დამჭირდა და სწორედ ამიტომ არ გამომიქვეყნებია მორიგი მამხილებელი წერილები. ამასობაში უფსკრული შპს „თეთრი ქალაქის“ დღევანდელ ზომაზე მეტად გათავხედებულ მესვეურებსა და დამქირავებლებს შორის დღითი დღე იზრდება და ახლოვდება კატასტროფა, რაც ამ ორგანიზაციის გაკოტრებაში გამოიხატება და რისკენაც, ყველა მონაცემის მიხედვით, ასეთი სიჯიუტით მიისწრაფიან ისინი. ამგვარად, აშკარა გახდა, რომ ჩემი ოპონენტების დაპირებები, რომ ისინი არსებითად შეცვლიდნენ თავიანთ ტაქტიკას და ხელს აიღებდნენ დამქირავებელთა მიმართ მეტად ხისტ და უსამართლო მოპყრობაზე, რითაც შეაჩერებდნენ მაინც ძველი დამქირავებლების ხელოვნურ განდევნას „თეთრი ქალაქის“ ტერიტორიიდან დრაკონული საგადასახდო ტვირთის მნიშვნელოვანი შემცირების გზით. მაგრამ დაპირება უსაფუძვლო და მოჩვენებითი გამოდგა და, როგორც ჩანს, იგი მიზნად ისახავს მხოლოდ და მხოლოდ დროის გაყვანას პრინციპით — „ძაღლი ყეფს, ქარავანი კი მიდის“.

ამიტომ, ძვირფასო ადმინისტრაციის მიერ აგრერიგად გაცუცურაკებულო დამქირავებლებო და ამის შემყურე არანაკლებად ძვირფასო მკითხველო საზოგადოებავ, მე სხვა არა დამრჩენია რა, თუ არა დღეს უკვე უაზროდ ქცეული შეგონებებიდან ადმინისტრაციის მიმართ სამართლებრივ მოთხოვნებზე გადასვლა, რასაც ჩემ მიერ კარგა ხნის წინ ამ ურწმუნოთა თუ უპასუხისმგებლოთა მიმართ უკვე არაერთხელ, მაგრამ, სამწუხაროდ, უშედეგოდ მივმართე, მაგრამ საჯაროდ ამის გაკეთების მცდელობა ჯერ არ მქონია, ამიტომ ვიმედოვნებ, რომ ამჯერად შეიძლება ამან გაჭრას და დროებით ვწყვეტ შპს „თეთრი ქალაქის“ ოდიოზური ფიგურების შესახებ მამხილებელი წერილების გამოქვეყნებას...

საქმე ისაა, რომ ისე მე და ჩემს შთამომავლებს ღმერთმა მოგვცეს სიკეთე და გამარჯვება, როგორც შპს „თეთრი ქალაქის“ დღევანდელ გაქსუებულ მესვეურებს ძირითადად დაჩაგრული მრავალი ასეული დამქირავებლის ინტერესების დასაცავად ვედავებოდე უკვე მთელი ორი წლის განმავლობაში, მაგრამ ეს იმას სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ჩემს თავს ქვა ვესროლო და ვერ შევძლო ახლა უკვე უშუალოდ ჩემი, როგორც შპს „თეთრი ქალაქის“ სრულიად რიგითი დამფუძნებლის, უფლებებისა და ინტერესების უხეში შელახვის აღკვეთა, რაც, როგორც მოგახსენეთ, უკვე ორ წელზე მეტია გრძელდება. სხვა საკითხია, რომ თუ ამ გზით წარმატებას მივაღწიე, რისი დიდი იმედიც მაქვს, საჯაროდ ვდებ პირობას, რომ არა მარტო არ შევანელებ დაჩაგრული ყოფილი თუ ახლანდელი დამქირავებლების ინტერესთა დაცვას, არამედ საგრძნობლად გავაძლიერებ კიდევაც და მე ეს ჩემს არა მარტო მოქალაქეობრივ თუ პროფესიულ, არამედ შპს „თეთრი ქალაქის“ ძველთაძველი დამფუძნებლის წმიდათაწმიდა ზნეობრივ მოვალეობადაც მიმაჩნია.

ბევრი „ახალი ქართველის“, მათ შორის შპს „თეთრი ქალაქის“ დღევანდელი შუბლის ძარღვგაწყვეტილ მესვეურთაგან განსხვავებით არავითარ შემთხვევაში არ მიმაჩნია ზნეობრივად მისაღებად მავანთა მრწამსი, თუ შეიძლება ასეთ ნაძირალური შინაარსის გამონათქვამს მრწამსი ვუწოდოთ, რომ „ფულს სუნი არ უდისო“ — „деньги не пахнут“ -ო. ჩემი ღრმა რწმენით, საქართველოს ქრონიკული წარუმატებლობა ეკონომიკასა და სოციალურ ცხოვრებაში, რაც ოც წელზე მეტი ხნის მანძილზე და დღესაც გვაქვს, იქიდანაც მომდინარეობს, რომ ძალიან ბევრ ჩვენს თანამემამულეს ფულის შოვნისას სულსა და გონებაში არავითარი ზნეობრივი პრინციპი არ ელობება, რადგან თურმე ფულს სუნი არ უდის, თუ იგი ტუალეტის ქაღალდის ნაცვლად უკვე არ ყოფილა გამოყენებული. ვაი იმათ და მთლიანად ჩვენს პატრონს, თუ ჯერ კიდევ ვერ გაგვიგია, რომ ეს ყოვლად ბინძური პრინციპი გზას უხსნის ათას ისეთ სისაძაგლეს, რის გაუცნობიერებლობა დიდი სიგლახეა და „ავნებს ხორცსა, მერმე სულსაო“.

თუ ასე ვიმსჯელებთ, რატომ არ შეიძლება ადამიანის ხორცის საკვებად გამოყენება?! აბა კანიბალებსაც ვკითხოთ და შეიძლება აღმოჩნდეს, რომ თურმე ადამიანის ხორცი ყველა სხვა ცხოველის ხორცზე უფრო გემრიელი ყოფილა!



სურათი №1

მაგრამ მიუხედავად ამ პრობლემის დიდი აქტუალობისა, ჯობს მისი განხილვა სხვა დროისათვის გადავდოთ და ჩვენს დღევანდელ ძირითად სატკივარს მივუბრუნდეთ. კერძოდ, მსურს ჩვენს აგრერიგად აღვირახსნილ „ოპონენტებს“ გავახსენო, რომ საქართველოში დიდი ხანია არსებობს და მოქმედებს ქვეყნის ძირითადი კანონი — კონსტიტუცია, რომლის ახალი რედაქცია ამჟამად განხილვის პროცესშია და რომელიც ყველაფერთან ერთად თითოეული საქართველოს მოქალაქის კანონით მინიჭებული უფლებების და კანონიერი ინტერესების საიმედო დაცვის გარანტად უნდა გვევლინებოდეს. ყველა დანარჩენი საკანონმდებლო აქტი, მათ შორის საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, საქართველოს სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო, ადმინისტრაციული, სამოქალაქო და რიგი სხვა, გარკვეული თვალსაზრისით, უშუალოდ გამომდინარეობს საქართველოს ძირითადი კანონიდან და მისი პრინციპების ცხოვრებაში დამკვიდრებას ემსახურება.

ამ თვალსაზრისით ჩვენთვის (პირადად ჩემთვის და შპს „თეთრი ქალაქის“ მესვეურების უგვანო მოქმედებით დაზარალებული მრავალი მოქალაქისთვისძ მეტად საინტერესოა „საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ“, რომელიც მშვენივრად „ეხმაურება“ შპს „თეთრ ქალაქში“ დღეს დაგროვილ მწვავე პრობლემებს და **ავალდებულებს შპს-ების ადმინისტრაციებს, კერძოდ, „დირექტორებს პარტნიორის მოთხოვნის საფუძველზე დაუყოვნებლივ მიაწოდოს მას ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ და ნება დართოს გაეცნოს საზოგადოების წიგნებსა და ჩანაწერებს“.** (იხ. საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ“, მუხლი 46, პუნქტი №4ძ აღსანიშნავია, რომ „საქართველოს კანონში მეწარმეთა შესახებ“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების ფუნქციონირებას სპეციალურად ეძღვნება აღნიშნული კანონის მესამე თავი, რომელიც სულ 4(ოთხიძ მუხლისაგან შედგება, საიდანაც ერთი მუხლი 36-ე, პარტნიორთა უფლება-მოვალეობების განსაზღვრავს კატეგორიული ფორმით და დირექტორებს ავალებს მაქსიმალურად უზრუნველყონ დამფუძნებელ პარტნიორთა მოთხოვნები, მიუხედავად იმისა, თუ რა გახდა მათი ამ მოთხოვნათა წარმოქმნის მიზეზი.

აქ ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, მართალია, კერძოდ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების საქმიანობის რეგლამენტაციას სულ 4 მუხლს უძღვნის, მაგრამ ამ კანონის მიერ დადგენილი შპს-ების ფუნქციონირების ნორმები საკმაოდ ფართოდ არის წამოდგენილი მის ზოგად ნაწილში, რომელიც თავისი მნიშვნელობით კერძო ნაწილს არ ჩამოუვარდება, თუ არ სჭარბობს. საქმე ისაა, რომ მთლიანად ეს კანონი, რომელიც, ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, საკმაოდ სრულყოფილია, შპს-ების გარდა, ადგენს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებების, კომანდიტური საზოგადოებების, სააქციო საზოგადოებების, კოოპერატივების შექმნის, ფუნქციონირებისა და ლიკვიდაციის სამართლებრივ საფუძვლებს, ამიტომ მის ზოგად ნაწილში ბევრი ისეთი ნორმაა გათვალისწინებული, რაც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებსაც შეეხება და მათი ფუნქციონირების [redacted]

№ 188. პარასკევი, 8 ოქტომბერი, 2010 წელი.

# „აბსურდის თეატრის“ თეთრიქალაქისეული სპექტაკლის ახალი პერიპეტიები

(მეხუთე გვერდიდან)

**მაგალითად, ამ კანონის მე-3 მუხლი – პასუხისმგებლობა, შესატანი, ინფორმაციის მიღებისა და კონტროლის უფლებები – კერძოდ, მისი მე-10 საკმაოდ ვრცელი პუნქტი, რის გამოც არ ვახდენ მის სრულ ციტირებას, მეტად დიდ უფლებებს ანიჭებს დამფუძნებელ პარტნიორებს, მიუხედავად იმისა, თუ როგორია მათი წილის ოდენობა და დასასრულ კატეგორიული ფორმით მიუთითებს, რომ „კონტროლის და შემოწმების ეს უფლებები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ ამ კანონით, გაფართოვება კი შესაძლებელია წესდებით“. ვგონებ, ნათქვამი შემდგომ კომენტირებას არ საჭიროებს და მოწმობს იმას, თუ არსებული ხელისუფლება ამ კანონით როგორი კატეგორიული ფორმით იცავს ადამიანის უფლებებს, ამ შემთხვევაში მათ შპს-ს წევრად ყოფნისას.**

ახლა თუ შპს „თეთრი ქალაქის“ დღევანდელი მესვეურების მოქმედებას სამართლებრივ შეფასებას მივცემთ, დავინახავთ, რომ ისინი უვიცობის თუ თავხედობის გამო უხეშად თელავენ ფეხქვეშ დამფუძნებელ პარტნიორთა ამ და რიგ სხვა უფლებებს, თითქოს ისინი მონათმფლობელები იყვნენ, თანაც უხეშად ერევიან, შეიძლება ითქვას, ეჩრებიან ჩვენი საზოგადოების დირექტორის, დღეს ბატონ თამაზ ბაქანიძის უფლება-მოვალეობების განხორციელების პროცესში, და მაქვს ყველა საფუძველი ვამტკიცო, რომ ზოგიერთი მათგანი რომელთა ვინაობასაც ჯერ არ ვასახელებ, თავზე აზის კიდევაც მას. ამგვარი „სისუსტე“ მისთვის დიდი ნუგეში არ არის, რადგან დღეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ყველა გადაწყვეტილებაზე იგი პერსონალურად აგებს პასუხს, მიუხედავად იმისა, თუ ვინ იყო ასეთი უსწორო თუ დანაშაულებრივი გადაწყვეტილების მიღებისას მისი მთავარი მრჩეველი ან ვინ ახდენდა მასზე ფსიქიკურ თუ, შესაძლოა, ფიზიკურ ზემოქმედებასაც.

ძირითადი პრობლემა, რომელიც მე შემექმნა შპს „თეთრი ქალაქის“ მესვეურთა მხრივ ამ ბო- [redacted]

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ამ წერილით კატეგორიულად მოვითხოვ, კვლავ და კვლავ ბატონ თამაზ ბაქანიძისაგან, რომელსაც წარმოდგენაც კი არა აქვს, თუ რა დანაშაულს სჩადის ინფორმაციის საგულდაგულოდ დამალვით, ხელი აიღოს ამგვარ თვითნებობაზე, რადგან კანონი მისგან სულ სხვა მოქმედებას ითხოვს, ხოლო სისხლის სამართლის მოქმედი კანონმდებლობა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს თვითნებობისათვის ანალოგიურ შემთხვევებში.

რაც შეეხება დანარჩენს, თუ ამ მცდელობიდანაც არაფერი გამოვიდა, მომიწევს ოფიციალური მიმართვა სათანადო სამართალდამცავი ორგანოებისათვის, რომლებსაც უმორჩილესად ვთხოვ, აღკვეთონ ეს აღვირახსნილობა, თავხედობა და უზრუნველყონ ჩემთვის კონსტიტუციითა და სპეციალური კანონით მეწარმეთა შესახებ მონიჭებული უფლება – შემექმნას სათანადო პირობები – გავეცნო შპს „თეთრი ქალაქის“ საქმიანობის ამსახველ ყველა დოკუმენტს, მით უმეტეს, რომ მე მათში გარკვევა არ გამიჭირდება...

ისე, შპს „თეთრი ქალაქის“ მესვეურებთან სერიოზული დავის საგანი არის ბევრი საკითხი, მათ შორის ამ ორგანიზაციის მართვისას მისთვის სერიოზული ზიანის მიყენება არასამართლებრივი გზით განხორციელებული მეტად საეჭვო ოპერაციებით მავანთა სასარგებლოდ, რომელთა ვინაობას დავასახელებ ამ დოკუმენტაციის სკრუპულოზური შესწავლის შემდეგ, რაშიც გამოვიყენებ არა მარტო ადვოკატებს, არამედ აუდიტებსა და სხვადასხვა სახის ექსპერტებს. უამისოდ ყოვლად შეუძლებელია იმ უმძიმესი კრიზისის დაძლევა, რაც ხელოვნურად არის შექმნილი შპს „თეთრი ქალაქის“ მეტად სახელგატეხილი დირექტორისა და არანაკლებად, თუ შეიძლება ასე ითქვას, ახლა უკვე დამქირავებლების თვალში თვითლუსტრირებული გარემოცვისგან, რომელიც სულ უფრო და უფრო ემსგავსება დანაშაულებრივ ბანდას. მარტო მათ მიერ მიმდინარე წლის დასაწყისში ორი კორპუსის თვითნებურად ნგრევა რადა ღირს, რითაც ამ უსინდისო ადამიანებმა ორგანიზაციას ასეულობით ათასი ლარის ზარალი მიაყენეს და ფაქტობრივად გაანადგურეს იქ დასაქმებული მცირე და საშუალო ბიზნესის მრავალწარმომადგენლიანი კოლექტივი, რომელიც 10 წელზე მეტი ხნის განმავლობაში არსებობდა და ადმინისტრაციასთან თანამშრომლობის რეჟიმში წარმატებით ფუნქციონირებდა.

**ჩემი პუბლიკაციების „გმირებმა“ კატათაგვობანას თამაში წამოიწყეს**

იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ შეუძლია ადმინისტრაციას, დირექტორის მეთაურობით, თავისი უვიცობითა თუ უფრო მეტად უსინდისობით, განადგურებამდე მიიყვანოს საქართველოში კარგად ცნობილი და წარმატებით მოქმედი დღეს უკვე ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო ობიექტი ქალაქის ცენტრალურ ადგილას, რომელსაც მრავალი წელია დამკვიდრებული აქვს რესპუბლიკაში ყველაზე დიდი სავაჭრო კომპლექსის იმიჯი (სატრანსპორტო მაგისტრალების საკვანძო და მჭიდროდ დასახლებულ ადგილას, სადაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, კომერციული საქმიანობა დუღს და გადადუღსძ მკითხველს ვთავაზობ ორ ფოტოსურათს, რომელთა დაკვირვებულმა გაცნობამ არ შეიძლება არ ჩააფიქროს თუ არ აალელვოს მკითხველი, საზოგადოება, პირველ რიგში კი ის მრავალი, დღეს სერიოზულად დაზარალებული ადამიანი, ვინც ამ ტერიტორიაზე საქმიანობდა თუ დღესაც საქმიანობს დიდი გაჭირვებით, იმედგაცრუებული.

კერძოდ, № 1 სურათზე აღბეჭდილია დღეს უკვე თითქმის მთლიანად დანგრეული შპს „თეთრი ქალაქის“ მიმდინარე წლის თებერვლამდე ყველაზე უფრო წარმატებული და მსხვილი სავაჭრო ობიექტი, რომელიც იყო ამ ტერიტორიაზე მოქმედი სხვა სავაჭრო ობიექტების ფლაგმანი, ჩვენს შპს-ს დიდი პოპულარობა რომ მოუპოვა არა იმარტო თბილისში, არამედ მთელს საქართველოში. ამიტომ იყო, რომ როდესაც მიმდინარე წლის თებერვალში ჩქარ-ჩქარა და ფაქტობრივად იძულებით დააცლევინეს ასეულობით მცირე და საშუალო მეწარმეს ეს ობიექტი, ამას დიდი ამბები მოჰყვა. იყო სრულიად სამართლიანი პროტესტი, რადგან მათ აგრეთვე აიძულებდნენ, რომ გადასულიყვნენ შპს „თეთრი ქალაქის“ ახალ, № 2 სურათზე აღბეჭდილ ცხრასართულიან შენობაში, რადგან იგი არა მარტო იმ დროს, არამედ დღესაც ელემენტარულად ვერ პასუხობს წაყენებულ მოთხოვნებს: კერძოდ, არ იყო იმ დროს დასრულებული და დღესაც ბოლომდე არ არის დამთავრებული როგორც შენობა, ისე მიმდებარე ტერიტორიის სათანადოდ კეთილმოწყობა, ხოლო თებერვალში საკმაოდ გრძელი გზა წერეთლის პროსპექტიდან ამ ობიექტამდე – ალბათ 60-70 მ. ყელამდე ტალახით იყო დაფარული, მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოები სხვა ობიექტისა, რომელიც ამ გზაზე მდებარეობს და ჩვენ არ გვეკუთვნის.

ამიტომ გზა პრაქტიკულად მყიდველებისთვის მიუვალი იყო, შენობას არ ჰქონდა და დღესაც არა აქვს არავითარი წარწერა, რომ იგი სავაჭრო ცენტრია, არ გაკეთებულა ამ ახალი ობიექტის არავითარი რეკლამა ტელევიზიით ან პრესაში. ახალი შენობა, რომელიც უდავოდ უნდა უპასუხებდეს მაღალ მოთხოვნებს, დღემდე არ ფუნქციონირებს, რადგან მყიდველი პრაქტიკულად არა ჰყავს, დაიკარგნენ ძველი მყიდველები, ისინი დეზორიენტირებულები არიან, რადგან ყველაზე აქტიურად მოქმედი ორი შენობა, სადაც ეს მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები წლების მანძილზე საქმიანობდნენ, ისე სწრაფად დაიხურა და დაიწყო მისი ინტენსიური ნგრევა, რომ მომხმარებელი ველარ აგნებს დღემდე ახალ მაღაზიებს, სადაც გადავიდნენ ძველი შენობიდან და, რაც მთავარია, ადმინისტრაციამ დაადგინა ძალზე მაღალი, შეიძლება ითქვას, დრაკონული გადასახადები – მაღაზიის თითოეულ კვ.მ. ფართობზე ჯერ 45 ევრო, ხოლო შემდეგ – 40 ევრო, ეს მაშინ, როდესაც მაღაზიების დიდი ნაწილი უკვე შვიდი თვეა პრაქტიკულად შინიდან მოტანილი ფულით ისტუმრებს ამ გაუგონარ გადასახადებს. კერძოდ, საშუალოდ მაღაზიების გახსნისთანავე მათ დამქირავებლებს თვის დასაწყისში უნდა გადაეხადათ 800-900 ევრო, ანუ 1900-დან 2150 ლარამდე, პლუს კომუნალური გადასახადი, არადა მყიდველები გასული 7 თვის მანძილზე მაღაზიებში კანტიკუნტად თუ შედიოდნენ.

ყოველივე ამის გამო ძველი შენობიდან გამოძევებულმა დამქირავებელთა დაახლოებით ნახევარმა მიატოვა შპს „თეთრი ქალაქის“ ტერიტორია უმეტეს შემთხვევაში სინანულის ცრემლებით, გულდაწყვეტილმა და შეურაცხყოფილმა, რადგან იფიქრეს, არცთუ უსაფუძვლოდ, რომ ისინი ადამიანებად არ ჩათვალეს, ძალდებივით გამოყარეს ტერიტორიიდან, სადაც არანაკლებ 10 წლის მანძილზე საქმიანობდნენ. რაც შეეხება იმათ, ვინც გარისკა და გადავიდა ახალ, თავისი ფუნქციების შესასრულებლად სრულიად შეუფერებელ შენობაში, დიდი ზარალი ნახა და, უკვე მთლად გაკოტრებული, იძულებული გახდა გასცლოდა ამ მართლაცდა საბედისწერო ადგილს. ყველაფერთან ერთად მათ მრავალჯერ ინდივიდუალურად თუ კოლექტიურად მიმართეს ადმინისტრაციას გადასახადების დროებით მაინც შემცირების შესახებ, მაგრამ მათგან ცინიკური პასუხი მიიღეს, რომ ვისაც ჩვენთან ყოფნა არ უნდა, მისთვის ყველა გზა ხსნილია ოთხივე მიმართულებითო.

ყოველივე ამის უკან, ჩემი ღრმა რწმენით და ჩემს ხელთ არსებული არცთუ მდიდარი ინფორმაციით, მეტად ბინძური განზრახვა იმალება, რომლის „გაშიფრვას“, ალბათ, მოვახერხებ, როცა ჩემს ხელთ აღმოჩნდება დოკუმენტური მასალა, თუმცა უკვე ორი წელია დიდი მონდომებითა და თავხედობით მიმალავენ, არავითარ ძალადობას არ ერიდებიან და სხვ.

**მიუხედავად ამისა, მე მზად ვარ კიდევ ერთხელ დავუმტკიცო ჩვენს დღეს უკვე ზოგ შემთხვევაში ადმინისტრაციის უსულგულობით თითქმის ბომჟებად ქცეული დამქირავებლებიდან მოკიდებული, უფრო წარმატებულებს, რომ ეს ქვეყანა ჩალით არ არის დახურული და არც მე, როგორც დამფუძნებელს, რომელსაც ევალება მათი ინტერესების დაცვა, მით უმეტეს, რომ ისინი ჩემთან ურთიერთობებში გულახდილად ამბობენ, რომ ჩემი იმედი მუდამ ჰქონდათ და დღემდე არ დაუკარგავთ, ადამიანთა ამ არცთუ მცირე გუნდის იმედის გაცრუებას მე, ანზორ გაბიანს, არც დღეს ესოდენ დაჩაგრული ადამიანები, არც ჩემი სინდისი და, რაც მთავარია, შთამომავლობა და თვით ღმერთი არ მაპატიებს.**

**ანზორ გაბიანი,**

შპს „თეთრი ქალაქის“ ძველთაძველი დამფუძნებელი-პარტნიორი, საკუთარი ნებით გადამდგარი გენერალური დირექტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი



სურათი №2

უპასუხებენ

# ჩვენი ნეიტრალიტეტი საერთაშორისო სამართალს უნდა დაეფუძნოს და საერთაშორისო გარანტორები ჰყავდეს



...„იმ თავად, ჩემო სავალო, შენზე ეკალი ეყარა“...

ვაჟა ფშაველა

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“, ამა წლის 17 და 18 აგვისტოს ნომრებში დაიბეჭდა ბატონების ვალერი კვარაცხელიასა და ომარ ხახაშვილის წერილები. ისინი გამოეხმაურნენ ჩემს ინტერვიუს, რომელიც მივეცი საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსს“ (გამოქვეყნდა „საქართველოს რესპუბლიკის“ 3 აგვისტოს ნომერში). მათ წერილებში აშკარად ჩანს, რომ **ნეიტრალიტეტის თემის განხილვისას** ისინი პოლიტიკურად მიკერძოებულები ბრძანდებიან. **ბატონებმა, ვ.კვარაცხელიამ და ო.ხახაშვილმა, თავის სტატიებში დასვეს დაახლოებით ასეთი შინაარსის კითხვა – ვინაა ეს „უცნობი“ პოლიტოლოგი კირვალიძე? სად და რას „მოღვაწეობდა“ და საერთოდ, იცის რა არის ნეიტრალიტეტი?..**

მინდა მათ ვუთხრა, რომ ამ თემაზე მსჯელობა გაცილებით ადრე დავიწყე, ვიდრე ისინი **ნეიტრალიტეტის „არხით“ თვითონ „დაინტერესდნენ“.**

უკანასკნელ წლებში, არაერთი სტატია გამოვაქვეყნე იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლებოდა **ნეიტრალიტეტის გზით** საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა... გთავაზობთ ამონარიდს ჩემი ერთ-ერთი საგაზეთო პუბლიკაციიდან (2008 წლის აგვისტოს ომამდე), საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და **ნეიტრალიტეტის საკითხთან დაკავშირებით:**

– „ქართულ პოლიტიკურ სპექტრში არიან ძალები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მისაღწევად, საკმარისია რუსულ-ქართულ ორმხრივ ჩარჩო-ხელშეკრულებაში იმ დებულების ჩაწერა, რომელიც დაავალდებულებს საქართველოს არ განათავსოს უცხო ქვეყნის (ან ბლოკის) სამხედრო ბაზები საკუთარ ტერიტორიაზე. **პირისპირ დარჩენა რუსეთთან სეპარატისტულ ავტონომიებთან დაკავშირებით, აბსოლუტურად მიუღებელია! ეს ვარიანტი არ შედის ქართულ ინტერესებში (ნეიტრალიტეტის „რუსული ვერსია“!)!**

საქართველოს პრეზიდენტმა და პარლამენტმა თხოვნით უნდა მიმართონ გაეროს, ეუთოს, ევროკავშირს, ამერიკის შეერთებულ შტატებს და რუსეთის ფედერაციას, რომ ისინი გახდნენ საქართველოს, როგორც ნეიტრალური სახელმწიფოს გარანტები! საქართველოს ნეიტრალურ სახელმწიფოდ გამოცხადება მიზნად ისახავს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის სწრაფ აღდგენას – საქართველო ტოვებს დსთ-ს და უარს ამბობს ნატოში გაწევრებაზე.

**ეს არ იქნება ის ნეიტრალიტეტი, რასაც რუსეთის ელჩი საქართველოში კოვალენკო გვათავაზობდა. ისინი ერთი-ერთზე გვიწვევდნენ მოლაპარაკებათა მაგიდასთან, ეს კი იქნებოდა რუსეთისთვის დომინანტის როლის მინიჭება! ნეიტრალიტეტის „რუსული ვარიანტისგან“ განსხვავებით, საერთაშორისო გარანტორების მხარდაჭერით გამოცხადებული ნეიტრალიტეტი, სრულად შეესაბამება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს!**

საქართველოს გამთლიანებისა და უსაფრთხოებისათვის საჭიროა, რომ ქართველებმა შევთავაზოთ ამერიკელებს, ევროპელებს და რუსებს,– შეთანხმდნენ გეოპოლიტიკურ კომპრომისზე – საერთაშორისო სამართლის (ხელშეკრულება) საფუძველზე:

ა) საქართველო არის ნეიტრალური სახელმწიფო;

ბ) საქართველოს ნეიტრალიტეტის გარანტები არიან: აშშ, ევროკავშირი, რუსეთი, გაერო;

გ) რუსეთი ახდენს სეპარატისტული რეჟიმების „დემონტაჟს“ და გაჰყავს ყველა სახეობის ჯარი საქართველოდან;

დ) აშშ (ნატო) არ განალაგებს სამხედრო ბაზებს საქართველოში;

რუსები ამ მოდელზე წამოვლენ, სამი მიზეზის გამო:

1. საქართველოში უცხო ქვეყნის (ბლოკის) სამხედრო ბაზები არ იქნება;

2. ქვეყნის შიგნით („მუნდირის ღირსება“), ჩრდილოკავკასიის რესპუბლიკებთან სათქმელი ექნებათ, რომ **რუსეთი საქართველოს ნეიტრალიტეტის ერთ-ერთი (და არა ერთადერთი!) გარანტია;**

3. სეპარატიზმის „ვირუსი“, რომელიც ნებსით თუ უნებლიედ, „გაყინული“ კონფლიქტების ზონიდან გადადიოდა რუსეთის ავტონომიებში, გაუვნებელყოფილი იქნება;

**ამგვარად, გამთლიანებული საქართველო მოწყდება ე.წ. „რუსულ ორბიტას“, გვერდს აუვლის „ამერიკულს“ და გადაინაცვლებს „ნეიტრალურ ევროპულ ორბიტაზე“!**

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, იმავე წლის დეკემბერში, როცა ყველა თავს არიდებდა რუსეთისკენ გახედვასაც კი, პ/გ „ქართული პოლიტიკის“ ლიდერთან გოჩა ფიფიასთან ერთად გახლდით პირველი, ვინც ჩავედით მოსკოვში და გავმართეთ შეხვედრები, როგორც რუსეთის სამოქალაქო სექტორის, ისე მასმედიის წარმომადგენლებთან, აგრეთვე ქართულ დიასპორასთან. ამ შეხვედრებიდან განსაკუთრებით გამოვყოფდი ორ პრესკონფერენციას, მოსკოვის „კარნეგი ცენტრის“ და საინფორმაციო სააგენტო „რია ნოვოსტის“ ოფისებში (მასალები შეგიძლიათ მოიპოვოთ ინტერნეტით). **იქ განვაცხადე, რომ – საქართველოს სახელმწიფოს მთავარი მიზანია 2008 წლის 26 აგვისტოს აქტის დეზავუირება , ანუ რუსეთის სახელმწიფოს მიერ აფხაზეთის და ე. წ. სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობის აღიარების“ გაუქმება! წინააღმდეგ შემთხვევაში, კონფრონტაცია რუსეთსა და საქართველოს შორის გარდაუვალია, ვინც არ უნდა იყოს საქართველოსა და რუსეთის ხელისუფლებაში! ეს კი, დამანგრეველ შედეგებს მოუტანს არა მარტო საქართველოს, არამედ რუსეთსაც!** – ამჟამადაც, ასე ვფიქრობ! დღეს, რუსეთი არის ოკუპანტი სახელმწიფო, მას ოკუპირებული აქვს ჩვენი სამშობლოს ტერიტორიის 20 პროცენტზე მეტი! ამიტომ, ყველა ქართველის ვალია (როგორც შეუძლია), იღვაწოს ქვეყნის ოკუპირებული მიწების დეოკუპაციისთვის! **ბ-ნები კვარაცხელია და ხახაშვილი კი ცილს მწამებენ, თითქოს სააკაშვილზე ვზრუნავდე და მისთვის „ვამზადებდე ნეიტრალიტეტის სარეზერვო აეროდრომს“! ცდებით, უფალმა უწყის, რომ არავის მსახური არ ვყოფილვარ და მხოლოდ სამშობლოს სიყვარულიდან გამომდინარე ვეძებ გამოსავალს!. ბატონებო, განა თქვენ არ იცით, რომ კრემლს დიდი ხანია შემუშავებული აქვს საქართველოს „ნეიტრალიტეტის რუსული სცენარი“, – სწორედ ეს გახლავთ ნეიტრალიტეტის „რუსული ვერსია“, რომლის შესახებაც თქვენ „ბავშვური გულუბრყვილობით“ კითხულობთ – „რას ნიშნავს ეს რუსული ვარიანტი“?, საიდან მოიტანა ამ პოლიტოლოგმაო?“.. „რას ნიშნავს“ ჩემო „მიამიტო“ ბატონებო და მისი განხორციელება ნიშნავს შემდეგს: საქართველოს სახელმწიფოებრიობის და დამოუკიდებლობის იმიტაციას, ეროვნული თავისუფლების პროფანაციას... მოკლედ, საქართველოს დაქცევას!!! ამიტომ, როგორც ერთი ქართველი კაცი, არ დაგანებებთ თქვენ და თქვენს მარჩენალს – „ძალიან დიდი გაქანების პიროვნებას“, – ჩვენი სამშობლოს რუსეთის ვასალად გადაქცევას! ჩემი აზრით, საქართველოს დეოკუპაციის და გამთლიანების მაშველი ხაზი ნეიტრალიტეტზე გადის! ოღონდ, თქვენგან განსხვავებით, მიმაჩნია, რომ საქართველოს ნეიტრალიტეტი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ეფექტიანი და ყოველმხრივ დაცული, თუ ის დაეფუძნება საერთაშორისო სამართალს და მას ეყოლება საერთაშორისო გარანტორები (გაერო, ევროკავშირი, ნატო, აშშ – მათ შორის რუსეთიც), რაც უზრუნველყოფს სახელმწიფოს სუვერენიტეტის შეუვალობას, ქვეყნის გაერთიანებას, უსაფრთხოებას, დემოკრატიულ და ეკონომიკურ განვითარებას!..**

პატივისცემით,

**ჯუმბერ კირვალიძე,**

პოლიტოლოგი, მოსკოვის მ.ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა საქართველოს ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი.

წკეპლიკა

# ეგ საერთაშორისო თანამეგობრობა მართლა უძლურია თუ მე, უბირს, მეჩვენება ასე?..

**ეგრეთ წოდებულ სამხრეთოსეთელებსა და ნაღდად წოდებულ რუსეთელ ოკუპანტებს „საზღვრების“ მორიგი რევიზია დაუწყიათ ქართულ სოფლებში. თბილისელი ხელისუფალნი კი, როგორც სჩვევიათ, დაზარალებული ქართველი მოსახლეობის ქმედითი, რეალური გამოსარჩლების ნაცვლად, ადგილზე ჩასვლისა და იქ სათანადოდ „გამოჩენის“ მაგიერ აქ, თბილისში ირტყამენ მჯიღს გულებზე და საერთაშორისო ორგანიზაციებისკენ იცქირებიან დასახმარებლად. А Васка слушает и ест – კრილოვის იგავისა არ იყოს...**

სწორედ იმ საერთაშორისო ორგანიზაციებზე მომინდა ორიოდე სიტყვის თქმა.

ლისს, საფრანგეთს, იაპონიას სამხედრო გემები არა აქვთ თუ არა ჰყავთ, ძალები არ ჰყოფნით თუ რა ხდება, რომ ერთხელ და სამუდამოდ ვერ აულაგმავთ მეკობრული თავდასხმები? ან ეგებ ზოგიერთი „საერთაშორისოელი“ მსოფლიო მბრძანებელი შეკრულია და წილშია ზღვაოსან ავაზაკებთან?..

რაო, დიდ და ტერიტორიებით გაუმაძღარ რუსეთს რომ ამდენი წელიწადია მიტაცებული აქვს (და მოუვლელიც) იაპონიისგან კურილის კუნძულები – შეახრევინეს წარბი? დაახევინეს უკან?

იმავე დიდმა რუსეთმა რომ მესამე წელიწადია, კიდევ ახალი ტერიტორიები ჩამოგვაჭრა




რაო, ალ-ქაიდა რომ ამდენი წელია ტერორიზმით, ტერორისტობით, ტერორისტებით მთელს მსოფლიოს აზანზარებს – რა დააკლეს საერთაშორისო თანამეგობრობამ, გაერომ, ნატომ და სხვამ ვინც გინდა, რა ყურებზე ხახვი დააჭრა, ბოდიში და, რა ფეხები მოჭამა! მაგ მართლა ავადსახსენებელმა ალქაიდამ რომ 2001-ში ნიუ-იორკის ცათამბჯენების შუაზე გაპობით სილა გააწნა პლანეტის „პირველ კაცს“ – აშშ-ს – რა, გადაუხადეს სამაგიერო?..

რაო, აფრიკის ნაპირებთან რომ ასე თავხედურად და გამომწვევად დათარეშობენ (XXI საუკუნეში!) მეკობრეები – დასაჯეს? გაანადგურეს? ალგავეს მეკობრეობა? დავიჯერო, არ იციან იმათი ადგილ-სამყოფელები, ბუდეები, რომ ერთი საერთაშორისო ეფექტიანი დამსჯელი ექსპედიცია ვერ მოუწყვეს? ზღვის ყაჩაღებს მიუვალ მთებში ხომ არ ექნებათ ბანაკები? აშშ-ს, ინგ-

და ამოიფარა (თუმცა ჩვენი ხელისუფლების ბედოვლათობითაც) – საერთაშორისო თანამეგობრობამ გაკიცხა ჯეროვნად, შეაცვლევინა ნირი, დაამუნათა, როგორც საჭიროა? იძახონ და აცხადონ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერა და ვიყოთ ასე წლობით – ოკუპირებულ მიწებზე კი კეთდება და კეთდება ჩვენთვის შავი საქმეები... აშშ-ის მიზეზითაც ხო არაა, რუსეთი რომ ასე მოგვაჯდა კისერზე...

ვინ ვუგდივარ მე მაგ საერთაშორისო თანამეგობრობას, მაგრამ ჩემს თვალში ისინი მრავალგზის ჩაიჭრა და ავლანეთში ახლაც იჭრება...

ცხონებულმა მუხრან მაჭავარიანმა „პერპეტუმ-მობილე“ სტრიქონები დაგვიტოვა – „საფრანგეთს ვთხოვოთ, გვიშველისო, სასაცილოა“ და ა. შ. (აშშ-ში არ აგვერიოს...).

**ლუკა გორგაძე**

ინფორმაცია

## ნარკოტიკების კონტრაბანდამ და რეალიზებამ იმატა



**2010 წლის 8 თვის მონაცემებით საქართველოში ნარკოტიკების კონტრაბანდისა და რეალიზების ფაქტებმა მოიმატა.**

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით, ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის საერთო მაჩვენებელი, გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით, 14.2% (3544 შემთხვევა) დაბალია.**

**მომატებულია ნარკოტიკების კონტრაბანდა 36.8% (25 შემთხვევა) და ნარკოტიკების რეალიზაცია 60.3%. სულ დაფიქსირებულია 109 შემთხვევა**

**ამასთან, შს სამინისტროს ინფორმაციით, ბოლო 8 თვის განმავლობაში ნარკოტიკების შემცველის მცენარეების უკანონო დათესვის 110 შემთხვევა გამოვლინდა, რაც გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 8.9% არის გაზრდილი.**

ჯი-ეიჩ-ენი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოს პრემიერ-მინისტრმა რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლის საკითხზე პოზიცია განსაზღვრა



**ოთხშაბათს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა მხარს არ დაუჭერს რუსეთის შესვლას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, თუ ოფიციალური მოსკოვი ნებას არ მისცემს ქართველ მებაჟეებს იმუშაონ ორი სადავო რეგიონის ტერიტორიაზე, რომლებიც რუსეთთან სამოკავშირეო ურთიერთობაში იმყოფებიან**

ასეთმა მკაცრმა პოზიციამ შეიძლება ობამას ადმინისტრაცია რთულ სიტუაციაში ჩააყენოს, ვინაიდან მას სურს დაეხმაროს რუსეთს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლაში. ჯერ კიდევ გასულ კვირას ადმინისტრაციამ რუსეთს დამატებითი იმედები მისცა, როდესაც განაცხადა, რომ რუსეთმა უკვე გადაწყვიტა საკითხები, რომლებიც დიდი ხანია დგას მასსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის და რომლებიც არ იძლევიან საშუალებას დაკმაყოფილდეს რუსეთის განაცხადი შესვლასთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ 16 წლის წინათ რომ შეიტანა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ნიკოლოზ გილაურმა განაცხადა, რომ საქართველოს მხოლოდ ერთი რამ უნდა – რომ რუსეთმა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლის წინ დაიწყოს ორგანიზაციის მიერ დაწესებული წესების დაცვა. ამ წესების თანახმად, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ნებისმიერი წევრი ქვეყანა, მათ შორის საქართველოც, უფლებამოსილია დაადოს ვეტო იქ ნებისმიერი სხვა ქვეყნის შესვლაზე.

საქართველოს მხარის მოთხოვნები ითვალისწინებს, რომ საქართველოს მიეცეს ნება კონტროლი გაუწიოს რუსეთ-საქართველოს სასაზღვრო გადასასვლელებს, რომლებიც მდებარეობენ მისგან გამოყოფილ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში. 2008 წლის ომის შემდეგ რუსეთმა აღიარა ორივე ეს ტერიტორია დამოუკიდებელ სახელმწიფოებად და განათავსა იქ თავისი ჯარები, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების პირობებით მას იქიდან თავისი ჯარები უნდა გამოეყვანა.

„ჩვენ იმის მომხრე ვართ, რომ რუსეთი შევიდეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში ამ ორგანიზაციის წესების დაცვით“, – განაცხადა გილაურმა და დაუმატა, რომ საქართველოს აზრით, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესები მოითხოვენ, რომ სასაზღვრო გადასასვლელები აკონტროლოს ორივე ქვეყანამ, რომელთა შორისაც გადის საზღვარი.

ამ დროს გილაური იმყოფებოდა ვაშინგტონში ერთდღიანი შეხვედრით ამერიკისა და საქართველოს დელეგაციებს შორის , რაც დაკავშირებულია თანამშრომლობის გაფართოების საკითხებთან.

შეხვედრის გახსნის დროს სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა განმეორებით მოითხოვა რუსეთისგან, გამოიყვანოს თავისი ჯარები საქართველოს ტერიტორიიდან.

გილაურის შენიშვნით, კლინტონის სიტყვები, რომლებშიც ასევე არის გამოხატული საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა, – ეს არის „ყველაფერი, რისი სურვილიც კი ჩვენ გვექნებოდა“.

საქართველო ელოდა ასეთ სიტყვებს ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ვინაიდან დარწმუნებული იყო, რომ რუსეთი ვერ ჩაყლაპავს ორ სადავო რეგიონს. ამას გარდა, საქართველო ფრთხილად მოეპყრა იმას, რომ ობამას ადმინისტრაციამ მეტი მნიშვნელობის მინიჭება დაიწყო მოსკოვთან ურთიერთობის გაუმჯობესების საკითხში.

კლინტონმა გაიხსენა 2012 და 2013 წლებში საქართველოში გასამართი არჩევნები და მოუწოდა საქართველოს განამტკიცოს თავისი დემოკრატიული ინსტიტუტები.

„ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი პოლიტიკური კონკურენციის, სახსრების შეგროვებისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის საკითხების გადაჭრის თვალსაზრისით“, – აღნიშნა მან.

Associated Press

# საქართველო სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტისთვის ნიადაგს ამზადებს?

**საქართველოს ხელისუფლება აჩაღებს კამპანიას, რომელიც მიზნად ისახავს მოუწოდოს მსოფლიო გაერთიანებას გამოთქვას თავისი ეჭვი 2014 წლის სოჭის ზამთრის ოლიმპიადის გამართვის შესაძლებლობასთან დაკავშირებით. ჩვენი მონაცემებით, აქცენტი გაკეთდება როგორც პოლიტიკურ მომენტებზე, ისე ეკოლოგიურ მდგომარეობაზე. ოქტომბრის განმავლობაში საქართველოს პარლამენტში გაიმართება მოსმენა, რომელზეც განისაზღვრება მოქმედებათა პრაქტიკა და სტრატეგია ანტიოლიმპიურ ფრონტზე**

სოჭში ოლიმპიადის ბოიკოტისკენ საჯარო მოწოდებას საქართველო არ ჩქარობს – ამისთვის ხომ საჭიროა შესაბამისი ნიადაგის მომზადება. მაგრამ შემდგომი მოქმედების შორს გადადებას თბილისი ასევე არ აპირებს. პირველი ნაბიჯი გახდა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა გაეროს სამიტზე ნიუ-იორკში სექტემბერში. მან განაცხადა, რომ სოჭის ოლიმპიადის მომზადებით „ოკუპირებული“ აფხაზეთის მეზობლად გაჩნდა ეკოლოგიური პრობლემები, ვინაიდან მისი ბუნებრივი რესურსები „მიედინება ოლიმპიადის ობიექტების მშენებლობაზე“. საქართველოს ლიდერმა სთხოვა საერთაშორისო გაერთიანებას მოაწყოს სიტუაციის მონიტორინგი, ვინაიდან აფხაზეთის ტერიტორია თბილისის „კონტროლს“ მიღმაა.



ამის შემდეგ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ ბრალი დასდო რუსეთს აფხაზეთის „უნიკალური ეკოლოგიური სისტემის განადგურებაში“. მისი აზრით, მასალების გატანამ ობიექტების მშენებლობისთვის შეიძლება გამოიწვიოს სანაპირო ზოლის ჩამორეცხვა და შექმნას ეკოლოგიური პრობლემები შავი ზღვის აუზის ყველა ქვეყნისთვის.

„ოლიმპიურმა თამაშებმა ხელი უნდა შეუწყოს ხალხებს შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებას, გამოუსწორებელი ზარალის მიუყენებლად გარემობუნებისადმი“, – განაცხადა სამინისტრომ.

6 ოქტომბერს უწყების ხელმძღვანელმა გიორგი ხაჩიძემ ეუთოს მიმართა თხოვნით, ყურადღება მიაქციოს იმას, „თუ რა ხდება აფხაზეთში მომავალ ოლიმპიადასთან დაკავშირებით და რომ ეს არის ეკოლოგიური ძარცვა“.

საქართველოს მწვანეთა პარტიის ლიდერმა გიორგი გაჩეჩილაძემ შეგვახსენა, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ქარტიის თანახმად, თამაშები „უნდა მიმდინარეობდეს ეკოლოგიის მოთხოვნების შესაბამისად“, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი კი ვალდებულია გამოიჩინოს „პასუხისმგებლობა და მზრუნველობა გარემობუნების დაცვისადმი, უზრუნველყოს ეკოლოგიური პრინციპების დაცვა სპორტის განვითარების დროს“. გაჩეჩილაძის სიტყვებით, აფხაზეთიდან უშუალოდ სანაპირო ზონიდან „გააქვთ მილიონობით კუბური მეტრი ინერტული მასალები“, და ეს არის „ეკოლოგიური კატასტროფა“.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარემ შოთა მალაშხიამ ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ მომავალი მოსმენისთვის მოწვეული არიან არა მხოლოდ პოლიტიკოსები, არამედ ეკოლოგებიც (ვინაიდან „შეიძლება უკვე ვისაუბროთ 15 მილიარდი დოლარის ზარალზე, რაც მიადგა აფხაზეთის ეკოსისტემას“ძ, აგრეთვე საქართველოს ოლიმპიური კომიტეტისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. „ჩვენ პირდაპირ არ ვსაუბრობთ თამაშების ბოიკოტზე, არამედ მივუთითებთ ქარტიის დარღვევებზე სხვადასხვა პარამეტრით, – განმარტა ბატონმა მალაშხიამ. – ჯერ ჩვენ შევთავაზებთ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, მიმართოს რუსეთს მოწოდებით, გამოასწოროს სიტუაცია. ჯერ ერთი, ეს უნდა შეეხებოდეს აფხაზეთის დაბრუნებას საქართველოს იურისდიქციაში და აფხაზეთიდან რუსეთის ჯარების გაყვანას. მეორეც, უნდა გავერკვეთ ეკოლოგიაში. თუ რუსეთი არ შეასრულებს ამას, საკითხი შეიძლება შეეხოს ოლიმპიადის გადატანას ამ ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ჩვენ განსაკუთრებული იმედი გვაქვს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის იმ წევრებისა, რომლებმაც ბოიკოტი გამოუცხადეს 1980 წლის ოლიმპიურ თამაშებს მოსკოვში საბჭოთა ჯარების ავღანეთში შესვლასთან დაკავშირებით. ჩვენი სიტუაციის პარალელი მათთვის ცხადი უნდა იყოს“.

2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ მოსკოვმა აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, საქართველომ კი რუსეთთან გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობანი. ამის წინ მიხეილ სააკაშვილი საუბრობდა მხოლოდ „გარკვეულ რისკებზე“, ვინაიდან თამაშები გაიმართება კონფლიქტის ზონის მახლობლად, მაგრამ ოლიმპიადა, მისი სიტყვებით, შეიძლება გამხდარიყო „სასარგებლო“ რეგიონალური პრობლემების მოსაწესრიგებლად. ამჟამად საქართველოში სულ უფრო ხშირად იხსენებენ იმას, რომ თამაშების დედაქალაქი სოხუმიდან სულ 120 კილომეტრშია.

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ბარამიძემ ჩვენთვის ინტერვიუში მკაცრად განაცხადა, რომ „ოლიმპიადის გამართვა ქვეყანაში, რომლის სამხედროებსაც უკავიათ სხვა ქვეყნის ტერიტორიები, ეწინააღმდეგება ოლიმპიური მოძრაობის პრინციპებს“. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრესმდივანმა კახა ბერიძემ გვაცნობა, რომ ამ ორგანიზაციას არ აქვს უფლება მოუწოდოს კოლეგებს სხვა ქვეყნების ოლიმპიური კომიტეტებიდან სოჭის ოლიმპიადისთვის ბოიკოტის გამოცხადების შესახებ, მაგრამ „შესაბამის ინფორმაციას პრობლემების შესახებ წარადგენენ“.

**მიხეილ ვიგნანსკი**

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

## დედამიწის ზურგზე

**ბრიტანეთის ტელევიზიამ გადაიღო თალიბების მიერ ავღანეთში უფლისწულ ჰარის „გატაცება“**



ფილმში „უფლისწულ ჰარის ხელში ჩაგდება“, რომლის ხანგრძლივობაცაა 70 წუთი, ავტორები შეეცადნენ ეჩვენებინათ, თუ როგორ შეიძლებოდა განვითარებულიყო მოვლენები, თუ ავღანეთში სამსახურის გავლის დროს უფლისწულ ჰარის მისი შვეულმფრენის ავარიის დროს ხელში თალიბები ჩაიგდებდნენ. ბრიტანეთის ტელეარხი ფილმს 21 ოქტომბერს აჩვენებს.

* * *

**ბელარუსის პარლამენტი ამზადებს პასუხს რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის კრიტიკულ განცხადებაზე**



რუსეთ-ბელარუსის ურთიერთობის საკითხს განიხილავენ ქვეყნის პარლამენტის ორივე პალატის სხდომაზე. წინა დღით რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმამ მოიწონა განცხადება ბელარუსის ხელმძღვანელობის კრიტიკულ ანტირუსულ გამოხდომებთან დაკავშირებით. ეს დოკუმენტი გაეგზავნა პირადად ალექსანდრე ლუკაშენკოს და რესპუბლიკის ეროვნულ კრებას.

* * *

**მალაიზიაში მაიმუნმა გაიტაცა და მოკლა ახლადდაბადებული გოგონა**



4 დღის გოგონას ეძინა თავისი სახლის სასტუმრო ოთახში, მშობლებმა ის ცოტა ხნით დატოვეს მარტო. მაიმუნი შევიდა სახლში, გამოიყვანა იგი გარეთ, უკბინა, ბრჭყალებით დასერა და სახურავიდან გადააგდო. ნეგერი-სემბილანის შტატის ხელისუფლება ამტკიცებს, რომ მათ შტატში ველური მაიმუნის ადამიანზე თავდასხმის ეს პირველი შემთხვევაა.

* * *

**ფრანგმა ტურისტმა თავი მოიკლა ფილიპინების რესტორანში, როდესაც ანგარიში ნახა**

ვახშმისთვის დაწესებულებამ ტურისტს მოსთხოვა 102 დოლარი. სწორედ ამდენი ღირდა მთლიანად ორი ბოთლი თეთრი ღვინო, ოთხი ბოთლი ლუდი და ერთი თეფში ზღვის პროდუქტები.

* * *



**რუსეთის პრეზიდენტი ჩავიდა კვიპროსზე ისტორიაში პირველი ოფიციალური ვიზიტით**

მედვედევისა და მისი კვიპროსელი კოლეგის მოლაპარაკების მთავარ თემებს შორის განიხილავენ ტურიზმის განვითარებას, ურთიერთმოქმედებებს ფინანსურ სფეროში. ელოდებიან აგრეთვე, რომ ისინი შეეხებიან ჰუმანიტარულ თანამშრომლობას, რუსეთისა და კვიპროსის სამოქალაქო საზოგადოებათა პირდაპირი კონტაქტების შემდგომ განმტკიცებას.

* * *

**ისრაელის პრემიერმა მხარი დაუჭირა კანონს ფიცის შესახებ „ებრაელთა დემოკრატიული სახელმწიფოს“ ერთგულებაზე**



ამჟამად ისრაელში მოქმედებს წესი ფიცის დადების შესახებ ისრაელისადმი ერთგულებაზე მოქალაქეობის მიღების დროს, მაგრამ ახალ ვარიანტში შეიტანენ ფორმულირებას „ისრაელის ებრაელთა დემოკრატიული სახელმწიფო“. ცვლილება არ შეეხება მოქალაქეობის მომპოვებლებს დაბრუნების შესახებ კანონთან დაკავშირებით.

* * *

**ტაჯიკეთში ნაღმზე აფეთქდა სატვირთო ავტომობილი, რომელზეც სამხედრო მოსამსახურეები იყვნენ: დაიღუპა 6 კაცი**




ინციდენტი მოხდა დუშანბეს აღმოსავლეთით 180 კილომეტრზე რაშტის რაიონის ტერიტორიაზე. დაჭრილთა რაოდენობა ზუსტდება, განსაკუთრებით მძიმედ დაჭრილები დუშანბეში გადაიყვანეს. ოთხშაბათს დილით იმავე რაიონის ტერიტორიაზე ჩამოვარდა შვეულმფრენი, რომელიც ეროვნულ გვარდიას ეკუთვნოდა.

* * *

**ჟურნალმა „ფორბსმა“ დაასახელა მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი ქალები**



პირველი ადგილი ერგო მიშელ ობამას. ამერიკის პრეზიდენტის მეუღლის სხვა მიღწევათა შორის, კერძოდ, აღნიშნულია მისი აქტიური ბრძოლა ერის ჯანმრთელობისთვის. ამას გარდა, მიშელ ობამა აქტიურად მონაწილეობს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ ცხოვრებაში. რუსეთელები ამ წელს ჟურნალის სიაში ვერ მოხვდნენ

## ჩვენი ბიბლიოთეკა

უფლის უსიტყვო ხატი თითქოს ეთანხმებოდა ბრიდას ნაფიქრალ-ნააზრევს. იგი აქ ახლა ჯვარზე გაკრული იყო განსახიერებული, მაგრამ სიცოცხლეში ღვინოსაც სვამდა და პურიც გაუტეხია ლხინისა თუ ჭირის ტაბლაზე, ადამიანის ყადრიც იცოდა და ამქვეყნიური სილამაზისაც. შეუძლებელია იმის დაჯერება, რომ ქალის სიყვარული არ გამოეცადა – ჩანს, იმიტომაც იყო ზეთისხილის წალკოტში სისხლად ოფლმდინარი, რომ უზომოდ ემნელებოდა დედამიწის დაგდება და მთელი კაცობრიობისთვის თავის გადადება, რაკილა ერთ ვისმე ადამინისშვილს უყვარდა.

გემო ყოველივეს გაუსინჯა, რისი შეთავაზებაც კი შეეძლო წუთისოფელს, და მაინც თავისი გზა განაგრძო, თუმცაღა უწყოდა, რომ ღამის წყვდიადი ვაითუ ჯვრით ანდა კოცონით დამთავრებულიყო.

– უკლებლივ ყველანი ამქვეყნად იმიტომ მოვსულვართ, რათა ღამის წყვდიადის განსაცდელნი ვიწვნიოთ, უფალო. სიკვდილისა მეშინია, ოღონდ სიცოცხლის დაკარგვა არ მინდა. სიყვარულისაც მეშინია, რამეთუ ის ისეთ რასმე ეხება, რაც ჩვენი გაგების ფარგლებს გარეთ არის, და შუქიც თვალისმომჭრელი აქვს, ოღონდ ჩრდილს რომ დაიყენებს ხოლმე, ისა მცემს თავზარს.

ბრიდა უცებ ჩავარდა გულისხმაში, რომ თავისდა უნებურად დაეწყო ლოცვა. და ღმერთი ისე დასცქეროდა, თითქოს უსმენდა და საგულისოდ იწიგნავდა თითოეულ იმის სიტყვას.

ერთხანს ბრიდა პასუხსაც ელოდა, გამოძახილს რასმე, მაგრამ არცრა კრინტი არ გაუგონია, არადა პასუხი თვით ამ ჯვარს გაკრულ კაცში იყო, ვინც ბედის განაჩენი აღასრულა და ქვეყნიერებას დაანახვა: უკეთუ სუყოველი სიკვდილის შვილი თავის დაბედებულ ხვედრს აღასრულებდა, არცვინ არცროდის ამსოფლად აღარ დაიტანჯებოდა.

იმიტომ რომ ის უკვე ყველას მაგივრად იტანჯა, ვისაც კი ვაჟკაცობა ჰყოფნია თავისი ოცნებებისთვის საბრძოლველად.

ბრიდამ ცოტა წაიტირა კიდეც, ოღონდ ვერ ამჩნევდა, რომ ტიროდა.

Ცა დილიდანვე გულს ირევდა, იქუფრებოდა, მაგრამ მაინც არ ავდრდებოდა. ლორენსი ამ ქალაქის დიდი ხნის მკვიდრი იყო და კარგს არას ელოდა შავად მორიალე ღრუბელთაგან. საწოლიდან როგორც კი ადგა, სამზარეულოში გავიდა ყავის მოსადუღებლად.

ბრიდა მანამ გამოჩნდა ზღურბლზე, სანამ წყალი ადუღდებოდა.

– ვხედავ, წუხელ ძალიან გვიან დაწოლილხარ, – თქვა ლორენსმა.

ბრიდას პასუხი არ დაუბრუნებია.

– ეს დღეც დადგა, – განაგრძობდა ლორენსი. – ვიცი, რა მნიშვნელოვანიც არის შენთვის. ამიტომ მინდა შენ გვერდით ყოფნა.

– ეს დღესასწაულია, – ჩაილაპარაკა ბრიდამ.

– მაგით რისი თქმა გინდა?

– დღესასწაულია, – გაიმეორა მან.– რაც ერთმანეთი გავიცანით, ყველა დღესასწაულზე ერთად დავდივართ, ახლაც გეპატიჟები.

Მოგვი გარეთ გავიდა, ვნახო ერთი, წუხანდელმა ავდარმა ჩემი ბრომელიები ხომ არ წამიხდინაო. მაგრამ არა, ისინი მშვენივრად გამოიყურებოდნენ, და მოგვს თავის თავზე გაეცინა: ბოლოს და ბოლოს, ბუნების ძალთაც აქვთ ერთმანეთის გაგების უნარი...

მერმე ისევ თავისი ამბავი წამოაგონდა და გაიფიქრა, რომ უიკა ვერ შეამჩნევდა მანათობელ წერტილთ, რომელთა დანახვაც მარტოოდენ სხვა ნაწილთ ძალუძთ, თანაც უკვე ურთიერთმოძიებულთ. ის ტრფობის ალი კი, თვითონ და ბრიდას ერთნაირად რომ წვავდა და დაგავდა, არამც და არამც არ გამოეპარებოდა უიკას ყურადღებას, რამეთუ სუყოველი კუდიანი თუ ჯადოქარი უწინარესად ქალია.

მთვარის ტრადიცია ამ მოვლენას „სიყვარულის ხედვას“ უწოდებს, და მსგავსი რამ იქნებ შეყვარებულთა შორისაც მოხდეს და არცრა საერთო არა ჰქონდეს რა სხვა ნაწილთან, მაგრამ უიკა მაინც წაიკიდებს ცეცხლს. ქალურ ცეცხლს, იმის დარსა და მაგვარს, ერთი ობოლი პირიმთვარისა გოგოს დედინაცვალმა რომ წაიკიდა, რომელსაც ეგონა, ჩემზე უფრო ლამაზი მთელ ქვეყნიერებაზე არავინაც არ არისო.

თუმცა უიკა მოძღვარი ქალია, ამიტომ უმალ მიხვდება, რა უაზრო გრძნობაც მოერია. და ამ დროისთვის უკვე აურას ფერიც გვარიანად შეეცვლება.

მაშინ ესეც ადგება და მივა, აკოცებს და ეტყვის, ეჭვიანობო. არაო, მიუგებს უიკა, არ ვეჭვიანობო. ეს კი ჰკითხავს, თუ ეგრეა, მაშ, რაღატომ ბრაზობო.

ხოლო ის მიუგებს, მე ქალი ვარ და ჩემს გრძნობებს არ ვუღრმავდებიო. მაშინ ეს ერთხელ კიდევ აკოცებს, რახან უიკამ ჭეშმარიტი სიმართლე წარმოთქვა, და თან ეტყვის, სულ მენატრებოდი ის დრო, რა დროც ცალ-ცალკე ვიყავით, და დედამიწის ზურგზე არცვინ სხვა ქალი შენსავით თვალს არა მჭრის, გარდა ბრიდასიო, ის კი, რა ვქნა, ჩემი სხვა ნაწილიაო.

და უიკა თავს ბედნიერად იგრძნობს. იმიტომ რომ ბრძენი ქალია.

„ნამდვილად ვბერდები. ეშმაკმა უწყის ჩემი თავი, რა არ წარმოვიდგინე“, – გაიფიქრა მოგვმა.

თუმცაღა აქ ასაკი არც არაფერ შუაშია. ვნებამორეულნი მიწყივ აგრე იქცევიან.

Შიკას გაუხარდა, რახან წვიმამ გადაიღო და დაბინდებამდე ცას პირი აეყრებოდა. ბუნება უნდა ეთანადებოდეს, ერთსულ უნდა იყოს ადამიანის ხელით ქმნილთან.

ყოველივე გაეთვალისწინებინათ, ყოველივე საჭირო ამბავი მიეღონისძიებინათ. თითოეული თავის განკუთვნილ როლს ასრულებდა.

უიკა საკურთხეველთან მივიდა და თავის მოძღვარს გამოუხმო. ამჟამინდელი სახიობისთვის თავისი უხილავი დასწრებით პატივდება სთხოვა: დღეს სამი ახალი კარესიმი, სამი ახალი ბებლი, ანუ გრძნებისმოქმედი, ხელდასხმის წეს-ჩვეულების დიდ საიდუმლოს ეზიარებაო, და უზარმაზარი რამ პასუხისმგებლობა დამეკისრებაო.




მერმე სამზარეულოში გავიდა ყავის მოსადუღებლად. ერთი ჭიქა ფორთოხლის წვენი გამოწურა, რამდენიმე დიეტური გალეტი შეჭამა. ის კვლავ განაგრძობდა ზრუნვას თავის გარეგნობაზე, – იმიტომ რომ იცოდა, რა მოხდენილიც იყო. და არც არაფერი არ დაშავდებოდა, თუ ჭკუითა და ნიჭით დაჯილდოებული ქალი ლამაზიც იქნებოდა.

შაქარს გონებაგაფანტული ურევდა, და უცებ წამოაგონდა, ვითარ აზიარა თავისმა მოძღვარმა დიდ საიდუმლოს ერთ-ერთ ასეთსავე დღეს, ოღონდ მრავალი წლის წინათ და რამდენიმე წამს თავს ძალას ატანდა, იქნებ გავიხსენო, როგორი ვიყავი მაშინ, რაზე ვოცნებობდი, ცხოვრებისგან რის ბოძებას მოველოდიო.

– ვბერდები, როგორც ჩანს. წარსულში ვიქექები, – ხმამაღლა წარმოთქვა მან. წამისყოფით დალია ყავა და სამზადისს შეუდგა. წინ კიდევ ბევრი საქმე იყო.

ისე, დიახ იცოდა, რომ ყასიდად იხნიანებდა თავს, სიბერე ჯერეთ არ ემუქრებოდა. იმის სამყაროში დრო არ არსებობდა.

Ბრიდა გააკვირვა გზისპირის გასწვრივ ჩამწკრივებულმა უამრავმა მანქანამ, მძიმე შავი ღრუბლები, დილით აგრერიგად რომ ქუფრავდნენ ცას, გაფანტულიყვნენ, და მოწმენდილ, პირაყრილ ზესკნელზე დაისის უკანასკნელი ბრწკიალი თრთოდა. ცოტა ციოდა კიდეც, თუმცაღა კალენდრით გაზაფხულის პირველი დღე იდგა.

მან მეოხება და დაცვა გამოსთხოვა ტყის სულთ, მერმე კი ლორენსს შეხედა, რომელმაც ოდნავი ენის ბორძიკით გაიმეორა იმის მიერ წარმოთქმული სიტყვები. იგრძნობოდა, რომ იგი ერთგვარად დაბნეული კი იყო, მაგრამ აქ ყოფნა უხაროდა. ურთიერთობა რათა არ შესუსტებოდათ, ორსავეს თავი ვალდებულად მიაჩნდა, რომ დროდადრო თავისი შეყვარებულის სამყაროში შეჭრილიყო, იმისი რეალობა გაეზიარებინა. ხილულიდან უხილავში გადებული ხიდი იმათ შორისაც იდო. თითოეულ იმათ ნამოქმედარს გრძნება ახლდა.

... ტყის ბილიკი ჩქარი ნაბიჯით გაიარეს და მინდვრიანზე გავიდნენ. ბრიდა რაღაც მსგავსის ნახვას ელოდა: ყველა ასაკისა და, ალბათ, ყველა სოციალური ჯგუფის კაცები და ქალები ქოჩად იდგნენ, ერთმანეთში ლაპარაკობდნენ და ისეთი სახის შენარჩუნებას ცდილობდნენ, ვითომც არცრა განსაკუთრებული რამ არა ხდებოდა. არადა ყველანი ისევე ღელავდნენ, როგორც რომ ბრიდა და ლორენსი.

– ეს ყველანი რა... – ლორენსს სათქმელი არ დაუმთავრებია.

არაო, ბრიდამ აუხსნა, სუყველა არა, ზოგიერთი დასასწრებლად არის მოწვეული და არა სამონაწილეოდო. მაგრამ სახელდობრ ვინ ზოგიერთი, არ ვიცი, ყველაფერი თავის დროზე გაირკვევაო.

მერმე თავისუფალი სივრცის ერთი მტკაველი ადგილი მოიძიეს და ლორენსმა ძირს დადო ზურგხალთა, სადაც ბრიდას სამოსი და სამი ბოთლი ღვინო ეწყო: ვინც ცერემონიაზე ყოფნას ეპირებოდა, უიკას ყველასთვის თითო ბოთლი ღვინის წამოღება ერჩია. შინიდან გამოსვლისას ლორენსმა ჰკითხა, მესამე ვინ იქნებაო, და პასუხად რომ მოისმინა, მოგვიო, რომელთანაც ხან სტუმრად დავდივარო, ამ სიტყვებისთვის საგანგებო რამ მნიშვნელობა არ მიუნიჭებია.

– არა, შენ მხოლოდ წარმოიდგინე... – თქვა იქვე ახლომარედ მდგარმა ერთ-ერთმა ქალმა. – მხოლოდ წარმოიდგინე, რას იტყვიან ჩემი დაქალები, როცა გაიგებენ, რომ ამ ნამდვილ ტაბაკელაზე, კუდიანთა შაბათობაზე ვიყავი.

კუდიანთა შაბათობა თუ კუდიანობა ღამე ერთგვარი დღეობაა, რომელმაც გამოვლო არაერთი სასტიკი დევნაც, კოცონებიც, სისხლიც, განმანათლებლობის საუკუნეც, მივიწყებაც. ლორენსი გაშინაურებას ცდილობდა და თავს ირწმუნებდა, აქ ჩემს მდგომარეობაში, ალბათ, ცოტა როდიაო. მაგრამ უცებ მინდვრიანის შუაგულში კოცონის დასანთებად მოგროვილი ფიჩხი შეამჩნია, და მთელ ტანში ჟრუანტელმა დაუარა.

უიკამ, რომელიც ვიღაცას გაფაციცებული ელაპარაკებოდა, თვალი მოჰკრა ბრიდას და მოვიდა, მიემშვიდობა, ყველაფერი რიგზეა თუ არაო, ჰკითხა, ბრიდამ მადლობა გადაუხადა, ლორენსი წარუდგინა და დასძინა:

– მე კიდევ ერთი კაცი დავპატიჟე.

უიკამ გაოცებულმა შეხედა, მაგრამ უმალვე ღიმილი მოიფინა სახეზე. ბრიდას ეჭვიც არ შეჰპარვია, რომ მოძღვარი მიუხვდა, ვისზეც უთხრა, დავპატიჟეო.

– ძალიანაც კარგი, – თქვა უიკამ. – ეს ხომ შენი დღესასწაულიც არის. უკვე კაი ხანია, რაც ის ბებერი ჯადეგი არ მინახავს, ვინ იცის, იქნებ ამ ხნის განმავლობაში კიდევ ისწავლა რამე...

ხალხი კვალად შემოემატა. ბრიდამ არ იცოდა, ვინ სტუმარი იყო და ვინ აწინდელი სახიობის მონაწილე. და ნახევარ საათში, როცა მინდვრიანზე უკვე ასამდე კაცმა მოიყარა თავი, უიკამ სმენა და გაგონება მოითხოვა.

– ეს ცერემონიაა, – თქვა მან. – ოღონდ არა უბრალო, არამედ სადღესასწაულო. დღესასწაულის დაწყება კი მანამ არ ეგების, სანამ სასმისები არ შევსებულა.

მან მკვირცხლად გახსნა ღვინის ბოთლი და ვიღაც გვერდით მდგომს დაუსხა. მალე არც ერთი ბოთლი გაუხსნელი არ დარჩენილა და მხიარულებამაც იმატა. ბრიდას დალევა არ უნდოდა: მეხსიერებას ჯერ კიდევ ცოცხლად შემორჩენოდა ის მაშინდელი ამბავი, როგორ დაანახვა ერთმა ვინმემ თავდასხმული პურის ყანის თავზე მთვარის ტრადიციის ტაძრები. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ვისაც ელოდა, ის ერთი ვინმე კიდევ არა ჩანდა.

ლორენსი ერთმა სასმისმა ცოტა გააშინაურა და, ის კი არა, მალე მეზობლებს საუბარიც გაუბა.

– ეს ხომ დღეობაა, დღესასწაულია! – სიცილით უთხრა მან ბრიდას.

იგი ნამდვილად რაღაც იმქვეყნიურის სახილველად ემზადებოდა, არადა ჩვეულებრივ ქეიფ-სადილზე მოხვდა. და აქ უფრო მხიარულად გრძნობდა თავს, ვიდრე საფაკულტეტო საღამოებზე, რომელთა დასწრებაც ევალებოდა.

იცოცხლე, შეცბა, როცა მალე იქვე შორიახლო თეთრწვერიან კაცს მოჰკრა თვალი და რომელშიც ერთ-ერთი უნივერსიტეტელი პროფესორი შეიცნო. დაიბნა, აღარ იცოდა, რა ექნა, მაგრამ პროფესორმაც იცნო, გაუღიმა და თავიც დაუქნია, თან თავისი მაღლა აწეული სასმისი დაანახვა, ვითომ გიჭახუნებ, გაგვიმარჯოსო.

ლორენსმა შვებით ამოისუნთქა, მიხვდა, რომ ნადირობა კუდიანებზე და იმათ თანამგრძნობელ ხალხზე წარსულს ჩაბარებოდა.

– პიკნიკსა ჰგავს ძალიან, – მოესმა ბრიდას.

ქართულად გადმოაენა
გურამ გოგიაშვილმა.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 152-166, 168-169, 171-172, 176-177, 180-181, 184-187.

◎ სამბო

# დღეიდან – სპორტის სასახლეში




**გივი კარტოზიას სახელობის თბილისის სპორტის სასახლეში სამ დღეს გასტანს ახალგაზრდა და ჭაბუკ სამბისტთა მსოფლიოს პირველობა, რომელშიც 20-მდე ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობენ.**

**საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავენ:**

**ჭაბუკებში** – ლერი ჯიხვაშვილი (48კ, გიორგი საჩალელი (52კ, ლაშა გიუნაშვილი (56კ, გიორგი კაცია (60კ, გოჩა ვარძელაშვილი (65კ, მიხეილ ჩოხელი (70კ, შმაგი შარიფაშვილი (75კ, ბექა რატიანი (81კ, ალექსანდრე მილდიანი (87კ, სლავა რეზესიძე (+87კ;

**ახალგაზრდებში** – გივი ნადარეიშვილი (48კ, ვაჟა ლატარია (52კ, გენადი ჩირგაძე (57კ, გიორგი ტაბატაძე (62კ, ზვიად კაპანაძე (68კ, ზებედა რეხვიაშვილი (74კ, ვახტანგ სარაჯიშვილი (81კ, ზაზა დავაძე (90კ, არჩილ შინჯიკაშვილი (100კ და ლევან მუქერია (+100კ; **გოგონებში** (უფროსებიკ – დარინა აბულაძე (48კ, შორენა შარაძე (63კ, ნინო ოძელაშვილი (70კ, თამარ ლომიძე (+78კ; **უმცროსები:** ცირა აბულაძე (48კ, ნონა მერაბიშვილი (52კ, სოფო ბერიძე (57კ, თეა სუხიტაშვილი (70კ და ელენე ქებაძე (+78კ.

**შეჯიბრება დღეს, ხვალ და ზეგ 10 საათზე დაიწყება. ფინალური ორთაბრძოლები 18 საათიდან გაიმართება.**

**ლაშა დიდია**

◎ ჭადრაკი

# რუსეთიდან – ბულგარეთში



**საქართველოს ქალთა ნაკრებმა (ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, სალომე მელია, სოფიო ხუხაშვილი, ბელა ხოტენაშვილიკ მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.** ხანტი-მანსიისკიდან დაბრუნებულებმა გუშინ ჭადრაკის სასახლეში პრესკონფერენცია გამართეს. შეჯიბრების პერიპეტიებზე ფედერაციის პრეზიდენტმა გია გიორგაძემ და ქალთა ნაკრების მწვრთნელმა დავით არუთინიანმა ილაპარაკეს. ითქვა ისიც, რომ თბილისის მანდილოსანთა გუნდი „სამაია“ (მაია ჩიბურდანიძე, ლელა ჯავახიშვილი, ნინო ხურციძე, სალომე მელია, ბელა ხოტენაშვილიკ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაფინანსებით 16 ოქტომბრიდან ბულგარულ პლოვდივში ევროპის საკლუბო ჩემპიონატში იასპარეზებს.

**ლექსო ცინცაძე**

◎ მძლეოსნობა

# სტუმარი დახმარებას გვპირდება



**საქართველოს საქმიანი ვიზიტით ევროპის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი ჰანს იორგ ვირცი ეწვია. მისი სტუმრობა თბილისში 2015 წლის კონტინენტის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალის გამართვის საორგანიზაციო კამპანიას უკავშირდება. გუშინ მძლეოსნობის ფედერაციის ახალ ოფისში იგი ორგანიზაციის ხელმძღვანელებსა და მწვრთნელებს შეხვდა და პრესკონფერენცია გამართა.**

„ჩემთვის ცნობილია იმ ქართველ ათლეტთა სახელები, რომლებმაც ოლიმპიურ თამაშებსა და სხვა საერთაშორისო ტურნირებში ისახელეს თავი, თუმცა ისიც ვიცი, რომ მძლეოსნობას საქართველოში უამრავი პრობლემა აწუხებს. განსაკუთრებით ეს ინფრასტრუქტურას ეხება. ჩვენც ამ პრობლემების უფრო ახლოს გასაცნობად და დასახმარებლად ჩამოვედით“, – განაცხადა საპატიო სტუმარმა, რომელსაც ევროპის ფედერაციის ფინანსური დირექტორი კარელ პილნი ახლავს.

**გივი გაგუა**

◎ კალათბურთი

# იწყებენ ახალი სპონსორით



**„თურქიშ ეირლეინზი“ უახლოესი ხუთი სეზონის განმავლობაში ევროლიგის სატიტულო სპონსორი იქნება. ეს ფაქტი სათანადოდ აღინიშნა კონტინენტის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის ლოგოზეც – მის საფუძველს, მართალია, ძველი ემბლემა წარმოადგენს, მაგრამ ახალ შტრიხებსაც შენიშნავთ.**

რაც შეეხება თვით გათამაშებას, იგი მალე აიღებს სტარტს შემდეგი გუნდების მონაწილეობით: „მილანი“, „პროკომი“, „ბროზე“, „კახა ლაბორალი“, „შოლე“, „ციბონა“, ცსკა, „ეფეს პილსენი“, „ულქერი“, „ლიეტუვას რიტასი“, „მაკაბი“, „მონტეპასკი“, „ოლიმპიაკოსი“, „პანათინაიკოსი“, „პარტიზანი“, „ვალენსია“, „რეალი“, „ბარსელონა“, „უნიკახა“, „ოლიმპია“, „რომა“, „ჟალგირისი“.

ჯგუფური რაუნდის კიდევ ორი მონაწილის ვინაობა ამ დღეებში საკვალიფიკაციო მატჩების დასრულების შემდეგ გაირკვევა.




◎ ჰოკეი

# მარათონის წინ

**ახალი სეზონის დაწყების წინ ჰოკეის ეროვნული ლიგის (ნჰლკ კლუბებმა მთელი რიგი საწვრთნელი (როგორც თვითონ უწოდებენ – გამოსაფენიკ მატჩები გამართეს. მოგეხსენებათ, ოკეანისგაღმელ პროფესიონალებს ყველაფერში ორიგინალობა ახასიათებთ. მათ არც ამჯერად უღალატეს ტრადიციას და მარათონული ბატალიების დაწყებამდე სპარინგ-შეხვედრების ცხრილი შემოგვთავაზეს.**



**აღმოსავლეთის კონფერენცია**

„ტორონტო“, „ფილადელფია“ – 11, „ვაშინგტონი“, „პიტსბურგი“ – 10, „ტამპა-ბეი“ – 9, „ბუფალო“, „მონრეალი“, „რეინჯერსი“ – 8, „ოტავა“, „ნიუ-ჯერსი“, „ფლორიდა“ – 7, „კაროლინა“ – 6, „ბოსტონი“ – 3, „აილენდერსი“ – 2, „ატლანტა“ – 1 ქულა.

**დასავლეთის კონფერენცია**

„კალგარი“ – 14, „სენტ-ლუისი“ – 10, „ფინიქსი“ – 9, „ნეშვილი“, „ედმონტონი“, „ლოს-ანჟელესი“, „კოლამბუსი“ – 8, „დალასი“ – 7, „ჩიკაგო“, „ვანკუვერი“, „ანაჰაიმი“, „დეტროიტი“ – 6, „სან-ხოსე“, „კოლორადო“ – 4, „მინესოტა“ – 2 ქულა.

◎ ინტერნეტიდან

## აბრამოვიჩი „გაღარიბებულა“



**„ჩელსის“ რუსმა მფლობელმა რომან აბრამოვიჩმა საფეხბურთო კლუბების პატრონთა რეიტინგში ლიდერობა დაკარგა.**

ეკონომიკური კრიზისის შედეგად ჩუკოტკელი მილიარდერის ჯიბე 3 მილიარდი ევროთი შეთხელდა და ამჟამად მხოლოდ 7 მილიარდ ევროს შეადგენს, რაც მესამე პოზიციაზე დაშვებას ნიშნავს. მას გაუსწრეს შეიხმა მანსურ ბინ ზაიედ ალ ნახიანმა („მანჩესტერ სიტი“, 15 მილიარდი ევროკ და ინდოელმა ლაქშმი მიტალმა („ქუინზ პარკ რეინჯერსი“, 12,5 მილიარდი ევროკ. „არსენალის“ ერთ-ერთი ბოსი ალიშერ უსმანოვი 1,5 მილიარდი ევროთი მეშვიდე ადგილზეა.

სულ სიაში მოხსენიებულია 11 მილიარდერი და 25 ახალი პერსონა, მათ შორის – ინგლისის ნაკრების თავკაცი ფაბიო კაპელო, რომლის ქონებაც 25 მილიონი ევროა. სეზონში მას 6 მილიონ ევროს უხდიან, რასაც ხელოვნების ნაწარმოებთა კერძო კოლექციის ღირებულება – 10 მილიონი ევრო ემატება.

## იქნებ ჩვენც მიგვებაძა

**სკანდალით და ფრედ – 4:4 დასრულდა ბოლივიის დედაქალაქ ლა-პასის სტადიონის განახლებისადმი მიძღვნილი „ამხანაგური“ მატჩი ამ ქვეყნის პრეზიდენტ ევო მორალესისა და მის პოლიტიკურ ოპონენტთა მონაწილეობით. აღსანიშნავია, რომ ინდიელთა შთამომავალი სარბიელზე დაცვის თანხლებით გამოვიდა, მის მეტოქეთა გუნდს კი დედაქალაქის მერი ლუის რევილია კაპიტნობდა.**



თავიდან მონასტერი მეხუთე წუთზე აირია, როცა დანიელ გუსტავო კარტახენამ მორალესის მარჯვენა ფეხზე „გაილაშქრა“, ამ უკანასკნელმა კი საპასუხოდ მოწინააღმდეგეს წელსქვემოთ მუხლი უთავაზა.

თანდათან თამაში ბრძოლის ველს დაემსგავსა და ყველაფერი მინდვრიდან თითოეული მხარის 2-2 წევრის, მათ შორის კარტახენასა და პრეზიდენტის მცველის გაძევებით დამთავრდა.

## შვილმა რა დაუშავა?



**„შალკეს“ პერუელი ვარსკვლავი ჯეფერსონ ფარფანი ლიმას აეროპორტში დააპატიმრეს და ბრალად ყოფილ მეგობარ გოგონა მელისა კლუგისთვის, რომელიც მათ საერთო ბავშვს ზრდის, ალიმენტის გადაუხდელობა წაუყენეს.**

ფეხბურთელი სეზონში კონტრაქტით 2 მილიონ ევროს იღებს და მისი ექსგულისსწორი თვეში ამ თანხის 30 პროცენტს, ანუ 50 ათასს ითხოვს მაშინ, როცა თვით ფარფანი მხოლოდ 1300 ევროს გადახდას თანხმდება.

ეტყობა, მელისა იმ ფაქტმა განარისხა, რომ ჯეფერსონი ხშირად დაფრინავს სამშობლოში ახალ ხარჭასთან – ცნობილ მოდელ და მსახიობ კარენ დეხოსთან (**ფოტოზეკ** ერთად დროის გასატარებლად, რაშიც სოლიდურ თანხებს ხარჯავს.

„თუ მას საამისო ფული აქვს, შვილზეც სათანადოდ იზრუნოს“, – ასეთია კლუბის კომენტარი.

მუზა ისეთი რამ არის...

# მიხარის შენი ტრფიალი, რად არა...



**ერთ დღეს ბატონ დემიკო ლოლაძეს, ფოტოხელოვნად და ქართული ფეხბურთის მემატიანედ რომ იცნობს თითქმის მთელი საქართველო, აუღია ფუნჯი და, მხატვარ ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდიაში ისეთი ფერები გამოუყვანია, ალტაცება ვერ დავფარეო, ზალიკომ.**

— მეწვია სტუდიაში, რაღაც საქმე ჰქონდა, — მიამბობს ზალიკო, — მე ვხატავდი, თან ვსაუბრობდით... ერთი, მანახე ფუნჯი, თუ ძმა ხარო და, დაიწყო ხატვა... შევუზავე ფერები, შევაძე და კარგა ხანს აღარ მომცილებია, დაკვირვებით ხატავდა თავისთვის... რა გასაკვირია, ნიჭიერი კაცია...

— შესანიშნავი ფერების გრძნობა აქვს, — მეუბნება მხატვარი ნოდარ რურუა, — მან ცხოვრებაში სხვა გზა აირჩია, მაგრამ, ეტყობა, მაინც გაილვიძა მხატვრობის შინაგანმა ნიჭმა... შეიძლება ამიტომაც გაიტაცა ფოტოაპარატმა, ფოტოთვალმა... აი, ნახავთ, რა ფერმწერი დადგება მისგან...

ნოდარ რურუას აზრს ადასტურებს მხატვარი მალხაზ კუხაშვილი და ამატებს: — რაც მთავარია, რასაც აკეთებს, გემოვნებით აკეთებს დემიკო... არა აქვს მნიშვნელობა, რომ ასაკოვანი კაცი შეეჭიდა ურთულეს გზას...

* * *

ამ ხალხს მოგვიანებით შევხვდი, მანამდე კი დემიკო ლოლაძემ რედაქციაში დაგვათვალიერებინა თავისი ნახატები — ამ ზაფხულს „გადაბრუნებია“ ტვინი და უკვე ორასამდე ნახატი აქვს სხვადასხვა თემაზე — ხასხასა, ნათელი ფერებით შესრულებული ძველი თბილისის ხედები, ნატურმორტები, აბსტრაქცია...

— სულ მინდოდა, სულ ვფიქრობდი, მაგრამ ვერ ვბედავდი და, აი, უცებ ზალიკო სულაკაურის სამხატვრო სტუდიაში მოვკიდე ფუნჯს ხელი... თუმცა, ეგეც არის, ადრე არქიტექტურის სამმართველოში ვმუშაობდი...

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს დემიკო, შენი ამბავი რომ ვიცი, მალე პერსონალურ გამოფენაზეც მიგვიწვევ... ისე, გახსოვდეს, მურმან ლებანიძე რომ არიგებდა მხატვრობით გატაცებულ თავის პატარა ვაჟიშვილს — ზაზას:

**— „მიხარის შენი ტრფიალი,**
**რად არა,**
**ფერში მოთხვრილი თითი,**
**მაგრამ გაფრთხილებ,**
**არ მემეტები პატარავ,**
**ძნელია მხატვრის ტვირთი“...**

— ძმაო, ვნახოთ, რა გამოვა, ფაქტია, რომ დღეს მე სრულიად ახალ სამყაროში ვცხოვრობ...

— ჰოდა, წარმატებებს გისურვებ!..

**ვილენ მარდალეიშვილი**



**სურათებზე: დემიკო ლოლაძე თავისი პირველი ნამუშევრით; ესეც ერთ-ერთი პირველი ნახატი.**

## განცხადება

მეცნიერების საერთაშორისო დღის ყოველწლიურად ჩატარების შესახებ იუნესკოს გენერალური კონფერენციის გადაწყვეტილების შესაბამისად, მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოება აცხადებს კონკურსს მეცნიერების ისტორიისადმი მიძღვნილ საუკეთესო ნაშრომზე. საკონკურსო საბუთების შეტანის ბოლო ვადაა 2010 წლის 5 ნოემბერი 15.00 სთ.

**კონკურსის პირობების გასაგებად, გთხოვთ, დარეკოთ:** 36-53-17 და 899-18-01-08. მისამართი: თბილისი, კოსტავას 77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, IV კორპუსი, II სართული, ოთახები №252, №256, მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოება.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77;
899 32-85-76.

დაარსდა

## ახალი საზოგადოებრივი გაერთიანება

**პატრიოტული ძალების ინიციატივით თელავში დაფუძნდა საზოგადოებრივი გაერთიანება-ასოციაცია „თელაველები“, მასში ეროვნებისა და სქესის მიუხედავად გაწევრება შეუძლიათ როგორც თელავის რაიონის მოქალაქეებს, ასევე სხვა დაინტერესებულ პირებს.**

**ასოციაციის ოფისი მდებარეობს ქ. თელავში, ნადიკვრის ქუჩა №2-ში. ასოციაციის ანგარიში გახსნილია „კორ სტანდარტ ბანკში“.**

## განცხადება

**„მე, მელიტა კვერნაძე** (დაბადებული 17.04.1937 წ. თბილისში, მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, ოდესის ქ. №7, პირადი №01024004679ძ, ვარ რა 04.04.2010 წ. გარდაცვლილი მეუღლის – **რობერტ ოქუაშვილის** (დაბადებული 01.04.1934 წ. პირადი №59001009498ძ მეუღლე ვადასტურებ, რომ:

1ძ **რობერტ ოქუაშვილი** (დაბადებული 01.04.1934 წ. პირადი №59001009498ძ გარდაიცვალა 04.04.2010 წ.-ს რაც დასტურდება შემდეგი დოკუმენტით:

რობერტ ოქუაშვილის გარდაცვალების მოწმობა (ალ №462757 გაცემული 2010 წლის 6 აპრილს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ისანი-სამგორის სამსახურის მიერძ

2ძ მე ვარ მამკვიდრებლის პირველი რიგის მემკვიდრე – მეუღლე, რაც დასტურდება შემდეგი დოკუმენტით:

მელიტა კვერნაძისა და რობერტ ოქუაშვილის ქორწინების მოწმობა (მნ №327304, გაცემული განმეორებით 27.09.2010 წ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საბურთალოს სამსახურის მიერძ;

3ძ მამკვიდრებლის საანდერძო განკარგულების არსებობის ფაქტი ჩემთვის უცნობია.

4ძ ჩემს გარდა მამკვიდრებელს ჰყავს სხვა პირველი რიგის მემკვიდრეები:

აძ შვილი – თამარ ოქუაშვილი;

ბძ შვილი – ზაზა ოქუაშვილი;

5ძ მე, როგორც **რობერტ ოქუაშვილის** (დაბადებული 01.04.1934 წ. პირადი №59001009498ძ მეუღლე, მოვითხოვ, **რობერტ ოქუაშვილის** (დაბადებული 01.04.1934 წ. პირადი №59001009498ძ სახელზე რიცხული ქონებიდან გამოიყოს ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების ნახევარი და ამ ქონებაზე მივიღო საკუთრების მოწმობა. ამასთანავე, ვადასტურებ, რომ ჩვენი ქორწინების რეგისტრაცია მოხდა 07.07.1961 (ათასცხრაას სამოცდაერთი წლის შვიდი ივლისიძ, თანახმად შემდეგი დოკუმენტისა:

მელიტა კვერნაძისა და რობერტ ოქუაშვილის ქორწინების მოწმობა (მნ №327304, გაცემული განმეორებით 27.09.2010 წ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საბურთალოს სამსახურის მიერძ.

## განცხადება

**ს.ს. „კრედიტინფო საქართველო“ ატყობინებს თავის აქციონერებს, რომ ამა წლის 27 ოქტომბერს, კომპანიის ოფისში, მისამართზე – თბილისი, ჯანაშიას ქ. №16, 15 საათზე, გაიმართება ორგანიზაციის აქციონერთა საერთო კრება. დღის წესრიგი: – ცვლილებები სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში. კრების სააღრიცხვო თარიღია 2010 წლის 5 ოქტომბერი.**

**ს.ს. „კრედიტინფო საქართველოს“ დირექცია**

## განცხადება

**2010 წლის 24 სექტემბერს ნოტარიუსს საქართველოში სოსო მუმლაძეს განცხადებით მიმართა ნინა დოჭვირის და ოლეგ დოჭვირის წარმომადგენელმა თამაზ დოჭვირმა და მოითხოვა 26.06.2010 წელს გარდაცვლილი თამაზ დოჭვირის სამკვიდროს მიღება, დაინტერესებულ პირებს გთხოვთ მიმართოთ ნოტარიუს სოსო მუმლაძეს მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. 42, 2010 წლის 26 დეკემბრამდე.**

ხელოვნება

# ციცო ხარაიშვილი



**„სიტყვები არ არსებობენ გრძნობებისათვის“, ახლა ჩუმად ყოფნას ვერ შევძლებ, მინდა გითხრა ყველაზე მართალი, ყველაზე მოწიწებული სიტყვები, რაც კი ოდესმე მითქვამს შენთვის, მინდა ვიყო შენსავით გულწრფელი და გითხრა, რომ მიყვარხარ ძალიან.**

**ახლა მმართებს ის დალოცვილი სიმშვიდე, რომელიც ღმერთს დამაახლოებს და ღირსს გამხდის ვიყო შენი ჭირისუფალი.**

**შენ ყველაფერი მომეცი, რისი მოცემაც შეგეძლო, ძალიან გიყვარდი და გამუდმებით ზრუნავდი ჩემზე, გული გტკიოდა, დარდობდი გაუთავებლად, რატომ ვეძებთ ადამიანების სიყვარულს სადღაც შორს, როცა სიყვარული ჩვენს გვერდით ცხოვრობს?!**

**ჩემი გულის სიმძიმეს, ხომ შენს მხრებზე ვალაგებდი, ეს ისეთი ადვილი იყო... როგორი იყავი, როგორ ცხოვრობდი, როგორ გიყვარდა!!!**

**გზა, რომელიც შენ გაიარე, არის მაგალითი, როგორ უნდა იცხოვრო და არა მხოლოდ იარსებო.**

**იყავი სიცოცხლით სავსე, მუხლჩაუხრელ შრომას დაჩვეული, გასაოცრად თავდაუზოგავი საქმისათვის, ქალი-ქირურგი, ნამდვილი პროფესიონალი თხემით ტერფამდე, ექიმი და მეცნიერი, მე ვიცი შენი გულის ძირითადი ნიშანთვისება – ადამიანების უზომო სიყვარული, ჩუმად გიყურებდი, გეფერებოდი და უზომოდ მემაყებოდი, შენ ბევრს მიაღწიე, თუმც შენც სახეზე კმაყოფილება არასოდეს დამინახავს, ამბობდი, – „კმაყოფილება მომაკვდინებელი სენიაო“, ადამიანები გულმხურვალე მადლობას გიხდიდნენ, ნაზად ილიმებოდი, ნეტავ იცოდე, როგორი ლამაზი იყავი ამ დროს, ჩემო თავმდაბალო, შრომით დაღლილო, ბოლომდე დახარჯულო ადამიანო.**

**როგორი მეგობრობა გცოდნია... დაგტირიან შენი მეგობრები, ახსოვთ შენი თანადგომა და მოსიყვარულე გული, შენ ყველას შემწევ, ყველას პატრონო, ძლიერო და უშიშარო, მაგრამ ბავშვივით გულჩვილო, უნაზესო ქალბატონო!**

**შენმა არყოფნამ დამანახა, როგორ ვიცხოვრო ისე, როგორც გინდოდა, ვაკეთო ის, რაც ასე გიყვარდა, ჩვენ ხომ ერთი საქმე გვაერთიანებს და თუ ჩემს ნამოქმედარს პატარა სიკეთე დაერქმევა, ყველაფერი შენთვის მიმიძღვნია, ჩემო ციციკა.**

**მადლობა ღმერთს, რომ იყავი ჩემს ცხოვრებაში, გიკოცნი თვალებს, შენს ლამაზ ხელებს, მშვიდობით დედა...**

**ლელა**

# ციცო ხარაიშვილი

**ჩემო საყვარელო, ჩემო ციცი დეიდა, დღესაც ვერ მაქვს გათვითცნობიერებული, რომ შენც ჩვეულებრივი მოკვდავი ყოფილხარ, რომ შენი სიკვდილიც შესაძლებელი ყოფილა, შენზე წარსულ დროში საუბარი და შენს გარეშე ცხოვრებაც წარმოსადგენი...**

**თითქოს ყველაფერი შეიცვალა და ყველაფერთან ერთად მეც, როგორ დამანარცხა რეალობამ მიწაზე?! ამაზე მეტი არც მინახავს, არც განმიცდია თურმე რა... საზარელი ყოფილა ობლობა და ამ ტკივილის არამცთუ ფურცლებზე გადატანა, გამოხატვაც მიჭირს.**

**რამდენჯერ გამიელვებს ვაჟას სიტყვები, რომელიც ასე ძალიან მოგწონდა – „ღმერთმა გიშველოს სიკვდილო, სიცოცხლე შვენობს შენითა“. დღეს კი მგონია სიკვდილმაც ფასი დაკარგა. გვანუგეშებენ, უფალს მიჰყავსო მისთვის განკუთვნილ დროს, ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ეს დრო ასე ხანმოკლე აღმოჩნდებოდა, უსასრულო და მარადიული მეგონა... ვერც იმას ვიჯერებ, რომ შენი წასვლა დროული იყო ამ ქვეყნიდან, ჩვენ ხომ წინ მთელი ცხოვრება გვქონდა... თურმე „სცდების და სცდების სიკვდილსა, ვინც არ მოელის წამისად... დრო გაჩერდა, სიცოცხლე გვეძნელება უშენოდ, ვინ მოგვცემს იმ სითბოსა და სიყვარულს, ასე უანგაროდ რომ გასცემდი...**

**ნეტავ თუ არსებობს ადამიანი ამქვეყნად, ვინც არ იცის ლოდინის ფასი... მე კი მგონია, ყველაზე მეტად გავითავისე... „დეე გაიღვიძე, უკვე გათენდა“... ყოველ ცისმარე დილით ველოდები ამ სიტყვებს, ველოდები როდის მოხვალ და მომეფერები, მაგრამ ამაოდ, არსად ჩანხარ, და რახან არ ვიცი სხვას რა უნდა ველოდო, ისევ შენს გამოჩენას ველი.**

**ბედნიერება ყველაზე ცუდი იარაღი ყოფილა დროის ხელში, უშენობით გამოწვეული განცდების გამოხატვა კი ვერაფერი ნუგეში... ყველა ჩვენგანის აწმყო, ახლა „გარდასულ დროთა“ მოგონებადაა გადაქცეული, თუმცა კი შევძლებ მოვიგონოთ ყოველივე... შენგან განვლილი გზა, ხომ დროის მთელი მატიანეა...**

**საიდან იწყება ჩემი მოგონებაც შენზე ძნელი სათქმელია, ჩემო სიამაყევ, ჩემო ბუმბერაზო... არც ის გვცოდნია რამოდენა ყოფილხარ...**

**მუდამ ჩამესმის შენი ომახიანი და იმედიანი „ნუ გეშინია, მე აქ არა ვარ?!“ ეს ერთადერთი ნუგეშია ჩემთვის, ვგრძნობ და მჯერა მთელი ჩემი შეგნებით, რომ „მე ისევ მე ვარ, შენ ისევ შენ ხარ, რაც ვიყავით იგივენი ვართ საუკუნოდ“, რომ შენ ყოველთვის ჩემს გვერდით იყავი, ხარ და იქნები....**

**უფალს ვევედრები, ნათელში ამყოფოს შენი სული, ჩემო განუმეორებელო და ერთადერთო, ჩემო ტკბილო, ტკბილო და საყვარელო ცი...**

**სალომე**

### დაიჯესტი

# რამდენი საათი დარჩა აპოკალიფსამდე?

**მსოფლიოს ერთ-ერთმა ყველაზე ძველმა ეკოლოგიურმა ორგანიზაციამ „ასახი გლას ფონდის“ წევრებმა 1992 წელს საათი გამოიგონა, რომელიც... აპოკალიფსის დადგომამდე დარჩენილ დროს ითვლის, რომელიც 12 საათზე მოხდება. ჩვეულებრივი ციფერბლატი ოთხ ნაწილადაა დაყოფილი, რომლებიც დედამიწის მდგომარეობის სხვადასხვა ხარისხის სიმბოლოებს წარმოადგენენ. წელიწადში ერთხელ მათი მდგომარეობა იცვლება. საათის ისრების მდგომარეობას 93 ქვეყნის 757 პოლიტიკოსის, მეცნიერის, ეკოლოგისა და საზოგადოებრივი მოღვაწის აზრზე დაყრდნობით ცვლიან.**

თავდაპირველად, 1992 წელს, საათის ისრები იმყოფებოდნენ სექტორში „სახიფათოა“ 7 საათსა და 49 წუთზე. მომდევნო წლებში საათი წინ მიდიოდა და ისრები სექტორში „განგაში“ დამკვიდრდნენ. ამჟამად კი, ოქტომბერში, მათ 11 წუთით უკან დაიხიეს – 9.33 საათიდან 9.22 საათამდე. ეს ბარაკ ობამას ბოლოდროინდელ განცხადებებთანაა დაკავშირებული, რომელთა თანახმად, ამერიკის შეერთებული შტატები, ყველაფრის მიუხედავად, მაინც შეამცირებს ატმოსფეროში სათბურის გაზების გამოფრქვევას, ასევე იმასთან, რომ იქ საწვავის ალტერნატიულ სახეობებზე გადასვლის პროგრამაა მიღებული.




მსოფლიო საათის გარდა, ფონდმა ასეთივე საათები ყველა რეგიონისთვის დაამზადა. კატასტროფასთან ყველაზე ახლოსაა აფრიკა (10.15 საათიძ, შემდეგ მოდიან ავსტრალია (10.10ძ, ჩრდილოეთ ამერიკა (10.01ძ, რუსეთი (10.00ძ, ევროპა (9.55ძ, ახლო აღმოსავლეთი (9.42ძ, ოკეანეთი (9.32ძ, სამხრეთ ამერიკა (9.28ძ და იაპონია (9.08ძ, ყველაზე კარგი მაჩვენებელი კი აზიას აქვს (9.04 საათიძ.

**მოამზადა**
**ოთარ ტურაბელიძემ**

### დღის კალენდარი — 8 ოქტომბერი

**ხსენება წმიდათა შორის მამისა ჩვენისა არსენი დიდისა, კათოლიკოსისა (887ძ. ღირსი ევფროსინე ალექსანდრიელისა (Vძ; ღირსი მოწამე პაფნუტი მეგვიპტელისა და მის თან 546 მოწამეთა (IIIძ; მიცვალება სერგისა – რადონეჟელ იღუმენისა, საკვირველთმოქმედისა (1392ძ.**




| | |
|---|---|
| ამოდის 06.05 | ამოდის 06.47 |
| ჩადის 17.32 | ჩადის 17.30 |

## დაიბადნენ:

**1817 – ფრიდრიხ ბაიერნი,** ავსტრიელი ნატურალისტი და არქეოლოგი, კავკასიის მუზეუმის ფონდების ერთ-ერთი დამფუძნებელი, გარდაიცვალა 1886 წელს.
**1864 – ბრონისლავ ნუშიჩი,** სერბი დრამატურგი, გარდაიცვალა 1938 წელს.
**1895 – ხუან დომინგო პერონი**, არგენტინის პრეზიდენტ-დიქტატორი (1946-1955, 1973-1974ძ, გარდაიცვალა 1974 წელს.
**1904 – გიორგი წერეთელი,** აკადემიკოსი, აღმოსავლეთმცოდნე. გარდაიცვალა 1973 წელს.
**1907 – პეტრე ოცხელი,** თეატრის მხატვარი, გარდაიცვალა 1937 წელს.
**1925 – ანდრეი სინიავსკი,** რუსი დისიდენტი მწერალი, გარდაიცვალა 1997 წელს.

## გარდაიცვალნენ:

**1754 – ჰენრი ფილდინგი,** ინგლისელი მწერალი.
**1869 – ფრანკლინ პირსი**, ამერიკის მე-14 პრეზიდენტი (1853-1857ძ.
**1948 – გრიგოლ მუხაძე,** ქართველი ქირურგი, აკადემიკოსი.
**1953 – ჯაჯუ (კონსტანტინეძ ჯორჯიკია,** მწერალი, პედაგოგი.
**1963 – იონა ტუსკია,** კომპოზიტორი, ქართული კამერული და სიმფონიური მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი.
**1992 – ვილი ბრანტი,** გერმანელი პოლიტიკოსი, გერმანიის ფედერალური კანცლერი (1969-1974ძ.

## მოვლენები:

**1085 წელი** – ვენეციაში აკურთხეს წმინდა მარკოზის ტაძარი.
**1600 წელი** – სან-მარინოს რესპუბლიკამ კონსტიტუცია მიიღო.
**1690 წელი** – თურქეთმა ბელგრადი დაიპყრო.
**1864 წელი** – პეტერბურგში გამოვიდა პირველი ქართული ლიტერატურული ალმანახი „ჩონგური“.
**1867 წელი** – გამოიცა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“.
**1872 წელი** – ოტო ლეოპოლდ ბისმარკი გერმანიის კანცლერი გახდა.
**1950 წელი** – გაეროს ჯარები ჩრდილოეთ კორეაში შევიდნენ.
**1970 წელი** – ალექსანდრ სოლჟენიცინი ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა ლიტერატურის დარგში.

**ღირსსახსოვარი დღეები:**
**აშშ** – კოლუმბის დღე.
**მალავი** – დედების დღე.
**კანადა** – მადლიერების დღე.

**მედიანიუსი**



## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.8064 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4585 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8545 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.9415 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9852 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2504 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2827 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2412 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.7014 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +13 – +17 |
| ქუთაისი. | +14 – +20 |
| ბათუმი. | +11 – +14 |
| ზუგდიდი. | +12 – +15 |
| თელავი. | +12 – +15 |

### ინფორმაცია

## პირველი თოვლი მოვიდა

საქართველოში პირველი თოვლი ყაზბეგის რაიონში მოვიდა, რომლის საფარმაც 10 სმ. შეადგინა.

ნაადრევად მოსული თოვლის გამო მწყემსებმა ცხვრის ფარების საზამთრო საძოვრებზე გადაყვანას ვერ ახერხებენ.

ამასთან, მოსახლეობა ბუნებრივი აირის მიწოდებას ხელისუფლებისგან დროზე ადრე ითხოვს.

**ᲮᲘ-ᲔᲘᲑ-ᲔᲜ**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

**იყიდება სასწრაფოდ!**

**ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკეძ**
საუკეთესო ფართობი (180 კვმ.ძ საუკეთესო ადგილზე, გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ. ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.

**აგარაკი ტაბახმელაში**
ულტრათანამედროვე სააგარაკო შენობა, ყველანაირად კეთილმოწყობილი, ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 899 24 17 71, 899 16 93 57.

### ანეკდოტები

თელავის აეროპორტში უცხოელი ჩამოვიდა თვითმფრინავიდან და მის შესახვედრად ზღვა ხალხი გაემართა. მიხომ იკითხა:
– ვინ არის ეს კაცი, ამოტოლა ხალხი რომ დახვდა?
– არაბია...
– ამი დედა კი ვატირე, მაგაი არ აბია და ამდენი ქალი დასდევს, მე კი ზედაც არ მიყურებენ?!

* * *

ბახუსის მოყვარულს ჰკითხეს: ასე ბევრს რატომ სვამო.
– მე არ ვსვამ 100 გრამზე მეტს, მაგრამ 100 გრამს რომ დავლევ, სულ სხვა ადამიანი ვხდები და ზუსტად ის სვამს ძალიან ბევრსო, – იყო პასუხი.

* * *

ორი დიდი ხნის უნახავი მეგობარი ქალი ერთმანეთს ხვდება.
– გავიგე, შენი ქმარი სხვა ქალთან წასულა.
– მერე რა... ხშირად დადის სხვადასხვა კახპასთან. მართლა, შემთხვევით შენთან ხომ არ არის?



* * *

მოხუცი ვამპირი ვაჟს ხელობას ასწავლის:
– ჩაავლებ კბილებს ყელში და დაიწყებ სისხლის წოვას.
პატარა ვამპირი საქმეს შეუდგა, წოვს და წოვს სისხლს, არ ჩერდება. ბოლოს მამამ ქეჩოში წაავლო ხელი და გააჩერა:
– გეყოფა საკმარისია.
– რატომ არ შეიძლება ბოლომდე გამოვწოვო?
– როგორ არ გრცხვენია, შვილო, ჩვენ ვამპირები ვართ, ფინანსური პოლიციის თანამშრომლები კი არა.

* * *

შეფი ეუბნება ხელქვეითს:
– თქვენ დათხოვილი ხართ!
– დათხოვილი? უცნაურია... აქამდე მეგონა, მონებს კი არ ითხოვდნენ, არამედ ყიდდნენ.

### კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.